

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
მიზანი 1.	ვაჭრობის სტატისტიკის სფეროს შემდგომი გაუმჯობესება				
ამოცანა 1.1.	საგარეო ვაჭრობის ინდექსების გაანგარიშება (ექსპორტ-იმპორტის ერთეულის ღირებულების ინდექსები)				
1.1.1. საგარეო ვაჭრობის ინდექსების წარმოება (ექსპორტ-იმპორტის ერთეულის ღირებულების ინდექსები) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის (HS) პოზიციების მიხედვით	წარმოებული ექსპორტ-იმპორტის ერთეულის ღირებულების ინდექსები (UVI) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის (HS) პოზიციების მიხედვით	საგარეო ვაჭრობის ერთეულის ღირებულების ინდექსები საქსტატის ვებგვერდზე: www.geostat.ge	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური		2015-2021 წლების ექსპორტ-იმპორტის ერთეულის ღირებულების კვარტალური ინდექსები საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის (HS) კარების მიხედვით ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-გვერდზე შემდეგ ბმულზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/713/sagareo-vachrobis-erteulis-ghirebulebis-indeksebi 2022 წლის კვარტალური მონაცემები გამოქვეყნდება 2023 წლის 31 ივლისს (2022 წლის საგარეო ვაჭრობის დაზუსტებული მონაცემების გავრცელების შემდეგ).
ამოცანა 1.2.	მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოება				
1.2.1. მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოება	მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემები მომსახურების სახეების და ქვეყნების მიხედვით	მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის გამოკვლევის შედეგები 2023 წლიდან გამოქვეყნებულია საქსტატის ვებგვერდზე: www.geostat.ge	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური	საქართველოს ეროვნული ბანკი	2021 წლიდან მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის კვარტალური/წლიური გამოკვლევა ტარდება რეგულარულად. განხორციელდა მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის ექსპერიმენტული მაჩვენებლების გაანგარიშება 2020-2021 წლების შედეგების მიხედვით. ექსპერიმენტული მონაცემები გამოქვეყნდა 2022 წლის აგვისტოში, ხოლო მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის ოფიციალური სტატისტიკის გამოქვეყნება დაგეგმილია 2023 წლიდან.
მიზანი 2.	ევროკავშირის ტერიტორიაზე ექსპორტის ხელშეწყობა				
ამოცანა 2.1.	ევროკავშირის ტერიტორიაზე საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიკაცია				
2.1.1. ევროკავშირის ქვეყნებში საერთაშორისო ღონისძიებებში, გამოფენებში და სავაჭრო მისიებში ქართული კომპანიების მონაწილეობის ხელშეწყობა	ევროკავშირის ქვეყნებში საერთაშორისო ღონისძიებებში, გამოფენებსა და სავაჭრო მისიებში მონაწილე ექსპორტიორი კომპანიების რაოდენობა	სსიპ აწარმოე საქართველოში-ს წლიური ანგარიში enterprisegeorgia.gov.ge	სსიპ - აწარმოე საქართველოში		<u>2022 წლის მდგომარეობით, სააგენტოს მხარდაჭერით, ევროკავშირის ტერიტორიაზე გამართულ საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 106-მა ქართულმა კომპანიამ:</u> ბავშვის ტანსაცმლის მწარმოებელი 2 ქართული კომპანია მონაწილეობდა საერთაშორისო მიზნობრივ გამოფენაზე Pitti Immagine Bimbo 2022, რომელიც გაიმართა იტალიაში, ქ. ფლორენციაში 11-13 იანვარს.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
	ევროკავშირის ქვეყნებში გამართული გამოფენებისა და სავაჭრო მისიების რაოდენობა				<p>ბავშვის ტანსაცმლის მწარმოებელმა 8 ქართულმა კომპანიამ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო მიზნობრივ გამოფენაზე Playtime Paris 2022, რომელიც გაიმართა საფრანგეთში, ქ.პარიზში 29-31 იანვარს. 9 ქართველმა დიზაინერებმა წარადგინა საკუთარი შექმნილი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და აქესუარები “Fashion Week”-ის თანმდევ ღონისძიებებზე სხვადასხვა ე.წ. Showroom-ში, „Paris Fashion Week“ გაიმართა 2022 წლის 28 თებერვლიდან 8 მარტის ჩათვლით (პარიზი, საფრანგეთი); 28 სექტემბრიდან 5 ოქტომბრის ჩათვლით “Fashion Week - Spring/Summer 2023, -ის ფარგლებში მხარდაჭერილ იქნა 10 კომპანია. ასევე Fashion Weeks - „Resort 2022“- ის ფარგლებში მხარდაჭერილ იქნა 7 კომპანიის მონაწილეობა.</p> <p>სააგენტომ მხარი დაუჭირა ბავშვის ტანსაცმლის მწარმოებელი 7 ქართული კომპანიის საერთაშორისო მიზნობრივ გამოფენაზე Pitti Immagine Bimbo 2022(summer season), რომელიც გაიმართა იტალიაში, ქ.ფლორენციაში 22-24 ივნისს.</p> <p>2-4 ივლისს სააგენტომ მხარი დაუჭირა ბავშვის ტანსაცმლის მწარმოებელი 8 ქართული კომპანიის საერთაშორისო მიზნობრივ გამოფენაზე Playtime Paris 2022 (Summer edition), რომელიც გაიმართა საფრანგეთში, ქ. პარიზში. ასევე ივლისში სააგენტოს მხარდაჭერით 8 ქართული ბავშვის ტანსაცმლის კომპანია განთავსდა 1 წლით ამ მიმართულებით პრესტიჟულ ონლაინ პლატფორმაზე Playtime Marketplace 2022.</p> <p>18-20 სექტემბერს საფეიქრო მიმართულებით სააგენტოს მხარდაჭერით 6-მა ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო გამოფენაში „MICAM & MIPEL Milano“, რომელიც გაიმართა ქ. მილანში, იტალიაში.</p>

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>27-29 სექტემბერს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის წარმოჩენის მიზნით, სააგენტომ პირველად დაუჭირა მხარი შესაფუთი მასალების პროდუქტების მწარმოებელ 6 ქართულ კომპანიას, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო გამოფენაზე FACHPACK 2022, რომელიც გაიმართა გერმანიაში, ქ. ნიურნბერგში.</p> <p>14-19 ოქტომბერს სააგენტოს მიერ მხარდაჭერილ იქნა საკვებისა და სასმლის სექტორში მოღვაწე 28 კომპანია „Sial Paris“-ის ფარგლებში საკვებისა და სასმლის სექტორიდან, პარიზში, საფრანგეთში.</p> <p>6-8 დეკემბრის ჩათვლით საჭმლისა და საკვების სექტორში მოღვაწე 7 კომპანია იქნა მხარდაჭერილი საერთაშორისო გამოფენის Food Ingredients-ის ფარგლებში, პარიზში, საფრანგეთში.</p> <p><u>ევროკავშირის ტერიტორიის გარეთ, სააგენტოს მხარდაჭერით 56-მა ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა გამოფენებსა და ღონისძიებებში:</u></p> <p>14-მა ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა Gulfood 2022-ში;</p> <p>სააგენტომ აპრილის თვეში ხელი შეუწყო ქართველი დიზაინერის მიერ შექმნილი ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და აქსესუარების ჩვენებას “Fashion Week” თანმდევ ღონისძიებაზე ე.წ. Showroom-ში, რომელიც გაიმართა 2022 წლის 8 აპრილიდან 13 აპრილის ჩათვლით (შანხაიში, ჩინეთი);</p> <p>საკვები და სასმელი პროდუქტების მიმართულებით სააგენტომ ორგანიზება გაუწია 7 ქართული კომპანიის მონაწილეობას საერთაშორისო გამოფენაზე “Food and Drink Expo 2022”, რომელიც გაიმართა 25-27 აპრილს ბირმინგემში, დიდ ბრიტანეთში;</p>

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>30 მარტიდან 1 აპრილის ჩათვლით ქ. დუბაიში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, სააგენტომ ტყავისა და ტყავის პროდუქტების მწარმოებელ 4 ქართულ კომპანიას მხარი დაუჭირა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო გამოფენაზე APLF Dubai 2022;</p> <p>25-27 მაისს ქ. ტაშკენტში, უზბეკეთში, ცხოველისა და ფრინველის საკვები დანამატების მიმართულებით სააგენტომ ორგანიზება გაუწია 5 ქართული კომპანიის მონაწილეობას საერთაშორისო რეგიონალურ გამოფენაზე “Agroexpo Uzbekistan 2022”;</p> <p>9-12 ივნისს ლას-ვეგასში, აშშ-ში, საიუველირო მაღალი დონის პროდუქტების მიმართულებით სააგენტომ ორგანიზება გაუწია 2 ქართული კომპანიის მონაწილეობას საერთაშორისო ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ გამოფენაზე “Couture Show 2022”.</p> <p>სააგენტომ პირველად დაუჭირა მხარი კაბელების მწარმოებელ 2 ქართულ კომპანიას, რომლებმაც 2022 წლის 23-24 აგვისტოს მიიღეს მონაწილეობა ამ მიმართულებით არსებულ მიზნობრივ რეგიონალურ გამოფენაში Power and Electricity World Africa 2022, ქ. იოჰანესბურგში, სამხრეთ აფრიკაში.</p> <p>სააგენტომ მხარი დაუჭირა მზის პანელების მწარმოებელ ერთადერთ კომპანიას საქართველოში შპს აიონრაიზ, რომელმაც 2022 წლის 19-22 სექტემბერს მიიღო მონაწილეობა განახლებადი ენერჯის საერთაშორისო გამოფენაში SPI 2021, ქ. ანაჰიმში, კალიფორნია, აშშ. აღნიშნული კომპანია ასევე მხარდაჭერილ იქნა „INTERSOLAR North America 2022“-ის ფარგლებში.</p> <p>2022 წლის 16 სექტემბერს სააგენტოს ორგანიზებითა და მხარდაჭერით 20-მდე ქართული კომპანიის ნაწარმი იყო წარმოდგენილი ქ. ლონდონში, დიდი ბრიტანეთი Fresh Produce Consortium Awards ცერემონიაზე.</p>

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
ამოცანა 2.2.					
მცირე და საშუალო ბიზნესების ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება					
2.2.1. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა ფინანსებზე ხელმისაწვდომობისა და/ან ტექნიკური მხარდაჭერის კუთხით	შექმნილი ან/და გაფართოებული საწარმოების რაოდენობა; ევროკავშირის ბაზარზე დაშვების მიზნით გაწეული კონსულტაციების რაოდენობა	სსიპ აწარმოე საქართველოში-ს წლიური ანგარიში enterprisegeorgia.gov.ge	სსიპ - აწარმოე საქართველოში		2022 წლის მდგომარეობით, უნივერსალური ინდუსტრიული პროგრამის ფარგლებში თანადაფინანსებულ იქნა 275 კომპანიის 309 სესხი/ლიზინგი, რომელთა ჯამური დამტკიცებული მოცულობა 202 მლნ ლარია. აღნიშნული პროექტების ფარგლებში დაგეგმილია 305 მლნ ლარის მოცულობის ინვესტიციის განხორციელება და 3,800-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილის შექმნა.
ამოცანა 2.3.					
მცირე და საშუალო ბიზნესების შესაძლებლობების განვითარება ექსპორტის მიმართულებით					
2.3.1. მცირე და საშუალო ბიზნესების ექსპორტის მენეჯერების გადამზადება	სერტიფიცირებულ ექსპორტის მენეჯერთა რაოდენობა	სსიპ აწარმოე საქართველოში-ს წლიური ანგარიში enterprisegeorgia.gov.ge	სსიპ - აწარმოე საქართველოში		სააგენტომ 2022 წლის მდგომარეობით, განახორციელა ექსპორტის მენეჯერების სასერტიფიკატო სამი კურსი, რომელთაც დაესწრო ჯამში 80 პირი.
2.3.2. ევროპის მეწარმეთა ქსელში (EEN) მეწარმეთა მონაწილეობის ხელშეწყობა	ქართული კომპანიების რაოდენობა, რომელთაც კონსულტაციები გაეწიათ EEN-ის პლატფორმაზე დასარეგისტრირებლად	სსიპ აწარმოე საქართველოში-ს წლიური ანგარიში enterprisegeorgia.gov.ge	სსიპ - აწარმოე საქართველოში		2022 წლის მდგომარეობით, EEN-ის პლატფორმაზე დარეგისტრირებით დაინტერესებულ კომპანიებს სააგენტოსთვის არ მიუმართავთ.
2.3.3. Trade with Georgia პლატფორმის პოპულარიზაცია და გამოყენების ზრდა	პლატფორმაზე დარეგისტრირებული კომპანიების რაოდენობა	სსიპ აწარმოე საქართველოში-ს წლიური ანგარიში enterprisegeorgia.gov.ge	სსიპ - აწარმოე საქართველოში		2022 წლის ბოლო მდგომარეობით, პლატფორმაზე TradewithGeorgia.com დარეგისტრირდა 250-მდე ახალი კომპანია.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
მიზანი 3.	ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების სფეროში საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასა და საუკეთესო პრაქტიკასთან				
ამოცანა 3.1.	კანონმდებლობის დაახლოება ასოცირების შესახებ შეთანხმების III-A დანართის შესაბამისად				
3.1.1. ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი III-A შესაბამისად ტექნიკური რეგლამენტების მიღება და უკვე დაახლოებული კანონმდებლობის გადახედვა III-A დანართში მითითებულ შეცვლილ და განახლებულ დირექტივებთან და რეგულაციებთან თავსებადობის შემოწმების ან მათთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით	მიღებული ტექნიკური რეგლამენტები; საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები	matsne.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო ; სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	ევროპის პარლამენტის და საბჭოს № 214/53/EC დირექტივასთან დაახლოების მიზნით, მომზადებულია საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ტექნიკური რეგლამენტის რადიო მოწყობილობის შესახებ დამტკიცების თაობაზე“. გაიმართა შეხვედრები საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, მათი კომენტარები და შენიშვნები აისახა რეგლამენტის საბოლოო რედაქციაში. დაწყებულია გადამუშავებული რეგლამენტის პროექტის დადგენილი წესით საქართველოს მთავრობისათვის დასამტკიცებლად წარდგენის პროცედურები. დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტების განახლებულ დირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, დინამიური დაახლოების ფარგლებში, 2022 წლის ივნისის საქართველოს მთავრობის დადგენილებებით დამტკიცდა 4 ტექნიკური რეგლამენტის ცვლილება. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის შემდეგ განახლებულ დირექტივებთან და რეგულაციებთან: 1. რეგულაცია (EU) 2016/424 საბაგრო მოწყობილობების შესახებ – საქართველოს მთავრობის 2022 წლის 8 ივნისის N 299 დადგენილება „ადამიანების გადასაყვანად განკუთვნილი საბაგრო მოწყობილობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 აგვისტოს №320 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>2. დირექტივა 2014/33/EU ლიფტებისა და ლიფტების უსაფრთხოების კომპონენტების შესახებ - საქართველოს მთავრობის 2022 წლის 8 ივნისის N 302 დადგენილება – „ლიფტის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 20 ივლისის №289 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;</p> <p>3. დირექტივა 2014/68/EU წნევის ქვეშე მყოფი აღჭურვილობის ბაზარზე ხელმისაწვდომობის შესახებ - საქართველოს მთავრობის 2022 წლის 8 ივნისის N301 დადგენილება „წნევის ქვეშე მომუშავე მოწყობილობების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 ივნისის №151 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;</p> <p>4. დირექტივა 2014/29/EU მარტივი წნევის ქვეშე მყოფი ჭურჭლის ბაზარზე ხელმისაწვდომობის შესახებ - საქართველოს მთავრობის 2022 წლის 8 ივნისის N303 დადგენილება „წნევის ქვეშე მყოფი მარტივი ჭურჭლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 ივნისის №150 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.</p> <p>მიმდინარეობს 2014/68/EU დირექტივის ჰარმონიზებული სტანდარტების იდენტიფიკაციისა და საქართველოს სტანდარტებად მიღების სამუშაოები, დაახლოვების გეგმის შესაბამისად. სხვა დანარჩენი განახლებული დირექტივის/რეგულაციის შესაბამისი ჰარმონიზებული სტანდარტები სრულად მიღებულია საქართველოს სტანდარტებად.</p> <p>საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ გადახედილი და საჭირებისამებრ განახლებული იქნა აღნიშნულ დირექტივებთან/რეგულაციებთან ჰარმონიზებული სტანდარტები. სააგენტოს მიერ სტანდარტების</p>

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					ელექტონულ პლატფორმაზე (sst.geostm.gov.ge) განახლდა აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტების მიზნების შესრულებისათვის განკუთვნილი სტანდარტების სია.
3.1.2. ტექნიკური რეგლამენტის მომზადება სამედიცინო მოწყობილობების შესახებ 2017 წლის 5 აპრილის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2017/745/EU რეგულაციის მიხედვით	მიღებული ტექნიკური რეგლამენტი	საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი; matsne.gov.ge	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული	ტექნიკური რეგლამენტის პროექტის შემუშავების მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარგლებში შექმნილია სამუშაო ჯგუფი. 2022 წლის 14-18 ნოემბერს, სამედიცინო მოწყობილობებისა და ინ ვიტრო დიაგნოსტიკური სამედიცინო მოწყობილობების შესახებ რეგულაციების სამართლებრივი დაახლოების პროცესში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხარდაჭერის მიზნით მიმდინარე პროექტის ფარგლებში, რომელსაც აფინანსებს AA FACILITY –II პროექტი, საქართველოს მისიით ეწვია ევროპელი ექსპერტი, რომელმაც შეაფასა არსებული მდგომარეობა, სამუშაო ჯგუფს გააცნო ევროპული პრაქტიკა და შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაციები. აღნიშნული რეგულაციის ჰარმონიზებული სტანდარტები სრულად მიღებულია საქართველოს სტანდარტად, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ.
3.1.3 ტექნიკური რეგლამენტის მომზადება ინვიტრო დიაგნოსტიკური სამედიცინო მოწყობილობების შესახებ 2017 წლის 5 აპრილის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2017/746/EU რეგულაციის მიხედვით	მიღებული ტექნიკური რეგლამენტი	საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი; matsne.gov.ge	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური	სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	ტექნიკური რეგლამენტის პროექტის შემუშავების მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარგლებში შექმნილია სამუშაო ჯგუფი. 2022 წლის 14-18 ნოემბერს, სამედიცინო მოწყობილობებისა და ინ ვიტრო დიაგნოსტიკური სამედიცინო მოწყობილობების შესახებ რეგულაციების სამართლებრივი დაახლოების პროცესში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
			დაცვის სამინისტრო		მხარდაჭერის მიზნით მიმდინარე პროექტის ფარგლებში, რომელსაც აფინანსებს AA FACILITY –II პროექტი, საქართველოს მისიით ეწვია ევროპელი ექსპერტი, რომელმაც შეაფასა არსებული მდგომარეობა, სამუშაო ჯგუფს გააცნო ევროპული პრაქტიკა და შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაციები. აღნიშნული რეგულაციის ჰარმონიზებული სტანდარტები სრულად მიღებულია საქართველოს სტანდარტად, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ.
3.1.4 ტექნიკური რეგლამენტის მომზადება ელექტრომაგნიტური თავსებადობის შესახებ წევრი ქვეყნების კანონების ჰარმონიზაციის თაობაზე 2014 წლის 26 თებერვლის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2014/30/EU დირექტივის მიხედვით	მიღებული ტექნიკური რეგლამენტი	საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი; matsne.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;	სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ აღნიშნული დირექტივის ჰარმონიზებული სტანდარტები სრულად მიღებულია საქართველოს ად.
3.1.5. ტექნიკური რეგლამენტის მომზადება ძაბვის გარკვეულ ზღვრებში გამოყენებისათვის განკუთვნილი ელექტრო მოწყობილობების შესახებ წევრი ქვეყნების კანონების ჰარმონიზაციის თაობაზე 2014 წლის 26 თებერვლის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2014/35/EU დირექტივის მიხედვით	მიღებული ტექნიკური რეგლამენტი	საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი; matsne.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო	შემუშავდა „ძაბვის გარკვეულ ზღვრებში გამოსაყენებელი ელექტრო მოწყობილობების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის პროექტი და მიმდინარეობს შესაბამის უწყებებთან შეთანხმება. პროექტი დამტკიცდება 2023 წლის I კვარტალში. ჰარმონიზებული სტანდარტები სრულად მიღებულია საქართველოს სტანდარტად.
3.1.6. სამშენებლო პროდუქტების შესახებ	ტექნიკურ რეგლამენტში შეტანილი ცვლილება	საქართველოს მთავრობის	საქართველოს	სსიპ - ბაზარზე	მომზადებულია "სამშენებლო პროდუქტების შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის ცვლილების პროექტი,

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
<p>ტექნიკური რეგლამენტის დაახლოება 2011 წლის 9 მარტის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 305/2011 რეგულაციასთან, რომელიც ადგენს სამშენებლო პროდუქციის ჰარმონიზებულ პირობებს ბაზარზე განთავსებისათვის</p>		<p>დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის ცვლილება;</p> <p>matsne.gov.ge</p>	<p>ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p>	<p>ზედამხედველობის სააგენტოს სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო</p>	<p>დასრულდა AA Facility - პროექტის ფარგლებში მიმდინარე რეგულირების ზეგავლენის შეფასება. პროექტი დამტკიცდება 2023 წლის პირველ კვარტალში.</p>
<p>3.1.7. ტექნიკური რეგლამენტის მომზადება დირექტივებთან MID (დირექტივა გაზომვის საშუალებების შესახებ) და NAWI (დირექტივა არა ავტომატური ასაწონი საშუალებების შესახებ) კანონმდებლობის დაახლოების მიზნით</p>	<p>მიღებული ტექნიკური რეგლამენტი</p>	<p>საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი;</p>	<p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p>	<p>სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო</p>	<p>დასრულდა MID (დირექტივა გაზომვის საშუალებების შესახებ) და NAWI (დირექტივა არა ავტომატური ასაწონი საშუალებების შესახებ) დირექტივების თარგმნის პროცესი.</p> <p>სააგენტოში მიმდინარე ტვინინგ პროექტის ფარგლებში 24-25 მაისს ესპანელი ექსპერტის ვიზიტის ფარგლებში მოხდა არსებული კანონმდებლობის შესწავლა, დირექტივის მოთხოვნების დეტალური განხილვა.</p> <p>ამავე პროექტის ფარგლებში 28.11-02.12 ჩატარდა ტრენინგები MID დირექტივაზე და არა-ავტომატური ასაწონის საშუალებების (NAWI) დირექტივაზე. მიმდინარეობს შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების პროექტების მომზადებასთან დაკავშირებული სამუშაოები ტვინინგ პროექტის ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით</p> <p>საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს მიერ აღნიშნული დირექტივების ჰარმონიზებული სტანდარტები სრულად მიღებულია საქართველოს სტანდარტად.</p>

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
3.1.8. საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების, მათ შორის DCFTA შეთანხმების III-A დანართში მითითებული სექტორულ დირექტივების ჰარმონიზებული სტანდარტების, საქართველოს სტანდარტებად მიღება	საქართველოს სტანდარტად მიღებული ევროპული და/ან საერთაშორისო სტანდარტების რაოდენობა	სააგენტოს გენერალური დირექტორის განკარგულებაში სტანდარტების მიღების თაობაზე	სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო		2022 წლის მდგომარეობით სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო მიერ საქართველოს სტანდარტად (სსტ) სულ დარეგისტრირდა 5964 სტანდარტი, მათ შორის: <ul style="list-style-type: none"> • სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) – 4677; • სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) – 1287.
ამოცანა 3.2. ტექნიკური რეგულირების, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასებისა და ბაზრის ზედამხედველობის ადმინისტრირებისათვის საჭირო ინსტიტუციური და ინფრასტრუქტურული განვითარება					
3.2.1. რისკის შეფასების სისტემის დანერგვა ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოსათვის	დანერგილი რისკის შეფასების სიტემა	უწყების წლიური ანგარიში	სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო		ევროკავშირის პროექტის „ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა - II ფაზა“ მხარდაჭერით დასრულდა მუშაობა რისკის შეფასების სისტემის (პროგრამის) კონცეფციაზე. აღნიშნული აქტივობის ანგარიშის მიხედვით, შემდეგი ნაბიჯი არის IT სისტემის ტექნიკური მახასიათებლების მომზადება სატენდერო დოკუმენტაციის განვითარების მიზნით. ამ მიმართულებით აქტივობები გათვალისწინებულია მომავალი ევროკავშირის დამმობილების (თვინინგის) პროექტით - „საქართველოს ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება.“
3.2.2. საფრთხის შემცველი პროდუქტების შესახებ ინფორმაციული ელექტრონული სისტემის შექმნა	შექმნილი სააგენტოს ვებ გვერდი, რომელშიც ასევე ინტეგრირებულია საფრთხის შემცველი პროდუქტების შესახებ ინფორმაციის სისტემა	უწყების წლიური ანგარიში სააგენტოს ვებ გვერდი	სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო		საფრთხის შემცველი პროდუქტების შესახებ ინფორმაციული ელექტრონული სისტემა ინტეგრირებულია ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს ვებგვერდზე - www.msa.gov.ge . სააგენტოს ვებ-გვერდი უზრუნველყოფს აქტივობის განხორციელებას.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
3.2.3. პრიორიტეტული მიმართულებებით ეტალონური ლაბორატორიების აღჭურვილობის განახლების პროცესის გაგრძელება გაუმჯობესებული სერვისების მიწოდების მიზნით	შეთავაზებული სერვისების გაზრდილი რაოდენობა და დიაპაზონი (გაზომვის 1 მიმართულებით ეტალონური ლაბორატორიებისათვის ხელსაწყოების შექმნა)	გაცემული დაკალიბრების სერტიფიკატების რაოდენობა სააგენტოს წლიური ანგარიში	სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო		სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებების აღჭურვილობის ბაზის გაუმჯობესების მიზნით მომზადდა 2022 წ. განმავლობაში შესაძენი აღჭურვილობის სიები. მიმდინარეობს ტექნიკური სპეციფიკაციების დაზუსტების და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების პროცედურები. 2022 წლის მდგომარეობით შეძენილი და მოწოდებული იქნა: ფიზ-ქიმიური გაზომვების განყოფილებისათვის 2 ცალი ელექტროდი pH-მეტრისათვის METTLER TOLEDO, წნევის ლაბორატორიისათვის შეძენილი იქნა სანიმუშო ბარომეტრი MSB780X და საკონტროლო ბარომეტრი M-67. ასევე წნევის ლაბორატორიისათვის ხელსაწყოების დასაკალიბრებლად შეძენილი იქნა 2 ერთეული წნევის სენსორი, დიაპაზონით - 35 ბარი და 1000 ბარი. ელექტრობის ეტალონური განყოფილებისათვის 6 ½ ციფრიანი ორ გაზომვიანი მულტიმეტრი. ფიზ-ქიმიური გაზომვების განყოფილებისათვის ასევე შეძენილი იქნა სტანდარტული ნიმუშები კონდუქტომეტრიის, pH-მეტრიის და სიმკვრივის გაზომვებისათვის. 2022 წლის მასში ეტალონური განყოფილებისათვის მოწოდებულ იქნა ეტალონური საწონების ნაწილი (F1 სიზუსტის კლასის, 5კგ - 2 ცალი. 10კგ - 2 ც20კგ- 10 ცალი). ასევე 2022 წელს გაფორმდა ხელშეკრულება 2 ცალი სანიმუშო ალკომეტრის შესაძენად.
3.2.4. მეტროლოგიის სფეროში პრიორიტეტული ეტალონური ლაბორატორიების საერთაშორისო აღიარების შენარჩუნების და/ან მიღწევისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება	სააგენტოს აღიარებული დაკალიბრებისა და გაზომვის შესაძლებლობების CMC ჩანაწერების რაოდენობა	ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს (BIPM) მონაცემთა ბაზა www.bipm.org	სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო		სააგენტოს საერთაშორისო დონეზე აღიარებული დაკალიბრებისა და გაზომვის შესაძლებლობების (CMC) ჩანაწერების რაოდენობა შენარჩუნებულია და შეადგენს 65 ჩანაწერს. საერთაშორისო აღიარების შენარჩუნების, ასევე გაზომვათა მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტში მომზადდა ეტალონებისა და გაზომვის საშუალებების დაკალიბრების პროგრამები 2022 წლისათვის. გაანალიზდა სხვადასხვა ქვეყნის მეტროლოგიის

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>ეროვნული ინსტიტუტების დაკალიბრებისა და გაზომვების შესაძლებლობები.</p> <p>სააგენტოს ეტალონები და სანიმუშო ხელსაწყოები დაკალიბრების სამუშაოები დასრულდა ჩეხეთის, თურქეთის და დიდი ბრიტანეთის ინსტიტუტების მიერ, მიმდინარეობს დაკალიბრების სამუშაოები გერმანიის და პოლონეთის ინსტიტუტებში.</p> <p>ლაბორატორიების საერთაშორისო აღიარების პროცესის შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მისწრაფების გათვალისწინებით, GEOSTM-მა დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები ევროპული მეტროლოგიის ორგანიზაცია EURAMET-ის წევრობისთვის. GEOSTM მიერ 2022 წ. აგვისტოში მოამზადდა და წარედგინა ოფიციალური განაცხადი EURAMET-ში გაწევრიანების თაობაზე.</p> <p>განაცხადი განხილული იქნა EURAMET-ის წევრების მიერ და 2022 წლის 7 ნოემბერს ელექტრონული კენჭისყრის გზით სააგენტოს მიენიჭა EURAMET-ის ასოცირებული წევრის სტატუსი. შემდგომი ეტაპი ითვალისწინებს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის შემოწმებას ე.წ peer evaluation EURAMET-ის ექსპერტების მიერ, სრული წევრობის სტატუსის მისაღებად.</p>
<p>3.2.5. ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანერგვა სტანდარტების დეპარტამენტში ISO 9001:2015 შესაბამისად</p>	<p>სტანდარტების დეპარტამენტში დანერგილია ISO 9001:2015</p>	<p>ISO 9001:2015 დანერგვის შესახებ შიდა აუდიტის ანგარიში</p>	<p>სსიპ-საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო</p>		<p>მიმდინარეობს შემუშავებული დოკუმენტების ეტაპობრივი ანალიზი Twinning პროექტის ექსპერტებთან ერთად. შემუშავებულია ხარისხის მენეჯმენტის სახელმძღვანელოს პროექტი და აუცილებელი პროცედურების სია, დოკუმენტების ნაწილი მიწოდებულია შემდგომი ანალიზისათვის.</p> <p>პროექტის ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა აქტივობები (ტრენინგები, შეხვედრები, ექსპერტის ვიზიტი, სიტუაციის ანალიზი ე.წ. gap assessment) და ხარისხის სისტემის დანერგვისათვის ექსპერტების მიერ მომზადდა რეკომენდაციები.</p>

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
3.2.6. მეტროლოგიის სფეროში ახალი მიმართულებით სტანდარტული ნიმუშების - ISO 17034:2016 შესაბამისად სერვისების შეთავაზებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება	მომზადებულია საერთაშორისო სტანდარტის ISO 17034:2016 შესაბამისი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანერგვისათვის საჭირო დოკუმენტები და პროცედურები	სააგენტოს წლიური ანგარიში Twinning პროექტის ანგარიშები	სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო		ძირითადი აქტივობები სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტში ISO 17034:2016 სტანდარტის დანერგვისათვის გათვალისწინებულია ტვინინგ პროექტის ფარგლებში. პროექტის ფარგლებში 6-7 ივლისს, ასევე 20 ივლისს ჩატარდა თეორიული და პრაქტიკული ტრენინგები ფიზიკურ-ქიმიური ეტალონური განყოფილების თანამშრომლებისთვის ISO 17034-2016 საკითხებზე: სერტიფიცირებული სტანდარტული ნიმუშების წარმოების ძირითადი ტექნიკური მოთხოვნები, მეტროლოგიური მიკვლევადობა, განუსაზღვრელობა, მოთხოვნები სერტიფიკატის გაფორმებისადმი. ასევე დაგეგმილია შემდგომი ტრენინგები, სასწავლო ვიზიტი და სხვა აქტივობები.
3.2.7. აკრედიტაციის ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერება და აკრედიტაციის სქემების შემუშავება აკრედიტაციის განსახორციელებლად შესაბამისობის შეფასების სხვადასხვა სფეროებში	შემუშავებულია მინიმუმ 2 აკრედიტაციის სქემა	შემუშავებული სქემა/სქემები, როგორც ნებაყოფლობით ისე რეგულირებად სფეროებში; www.gac.gov.ge	სსიპ- „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	„ტვინინგის“ პროექტის ფარგლებში მოწვეული გერმანელი ექსპერტების მიერ ჩატარდა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები/ ტრენინგები აკრედიტაციის შემდეგ სქემებთან დაკავშირებით: ISO/IEC 17021, Global Gap და ISO 22001. აღნიშნული მიმართულებით გრძელდება მუშაობა, რათა აკრედიტაციის ცენტრმა შეძლოს ამ სფეროებში აკრედიტაციის მინიჭება დაინტერესებული ორგანოებისათვის. 2022 წლის 1-2 ნოემბერს, ტვინინგის პროექტის ფარგლებში, გერმანელმა ექსპერტმა გამართა შეხვედრა, სერტიფიკაციის კედო სქემის „Global Gap“-ის შესახებ. შეხვედრას ესწრებოდნენ ის ორგანიზაციები, რომლებიც შესაძლებელია მომავალში დაინტერესდნენ ამ მიმართულებით აკრედიტაციის მიღებით, მათ შორის: საქართველოს ფერმერთა ასოციაციის, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის, და შპს „კავკასსერტის“ წარმომადგენლები.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
3.2.8. EA-სგან აღიარების შენარჩუნება/გაფართოება	EA-ს აღიარების შენარჩუნება ყველა სფეროში, რომელიც მიღებულ იქნა 2019 წელს; EA-სგან დამატებით აღიარების მიღება - ISO/IEC 17043 ის სფეროში	EA-ს და აკრედიტაციის ცენტრის მიერ ხელმოწერილი ორმხრივი შეთანხმება აღიარებული სფეროების მითითებით. აკრედიტაციის ცენტრის ვებ-გვერდი და EA-ს ვებ-გვერდი.	სსიპ - „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2022 წლის ოქტომბრის თვეში აკრედიტაციის ევროპულმა ორგანიზაციამ (EA), მორიგი შეფასების ფარგლებში შეაფასა საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის საქმიანობა, უკვე აღიარებულ, სფეროებში: 1) ტესტირება (აკრედიტაცია საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ17025-ის შესაბამისად); 2) კალიბრაცია (აკრედიტაცია საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ17025-ის შესაბამისად); 3) სამედიცინო ტესტირება (აკრედიტაცია საერთაშორისო სტანდარტის ისო 15189 -ის შესაბამისად); 4) ინსპექტირება (აკრედიტაცია საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ17020 სტანდარტის შესაბამისად); 5) პროდუქტის სერტიფიცირება (აკრედიტაცია საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ 17065 სტანდარტის შესაბამისად); 6) პერსონალის სერტიფიცირება (აკრედიტაცია საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ 17024 სტანდარტის შესაბამისად). 7) შეფასების ფარგლებში დაგეგმილი იყო აღიარების გაფართოება და ამ მიზნით, EA-ს შეფასების ჯგუფის მიერ აკრედიტაციის ცენტრის საქმიანობა შეფასდა დამატებით პროფესიული ტესტირების მომწოდებელი ორგანიზაციების სფეროშიც (აკრედიტაცია საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ 17043 სტანდარტის შესაბამისად). ჯგუფის „პირველადი შეფასებით“ ცენტრის საქმიანობა დადებითად შეფასდა ზემოთ აღნიშნულ ყველა სფეროში, რაც მითითებულია წინასწარ ანგარიშში. საბოლოო ანგარიში EA-ს მიერ გამოქვეყნდება 2023 წლის გაზაფხულზე.
3.2.9. აკრედიტაციის ცენტრის საქმიანობის დიჯიტალიზაციის პროგრამის შექმნა და სატესტო რეჟიმში გაშვება	სატესტო რეჟიმში გაშვებული პროგრამა, რომელთანაც დაკავშირებულია ყველა აკრედიტებული ორგანო.	ფუნქციონირებადი ელექტრონული სისტემა	სსიპ- „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო“	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	აკრედიტაციის ცენტრის სერვისების გაციფრულების მიზნით დასრულდა ელექტრონული პროგრამის შექმნა. პროგრამის მუშაობის შესწავლის მიზნით, განხორციელდა აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომლების, მოწვეული ტექნიკური შემფასებლების, ექსპერტებისა და შესაბამისობის

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
			- აკრედიტაციის ცენტრი“	დი განვითარების სამინისტრო	შემფასებელი ორგანიზაციების წარმომადგენლების გადამზადება, ჯამში გადამზადდა 350 ადამიანი. ტრენინგების დროს შეირჩა ათი აკრედიტებული ორგანიზაცია, რომელთაც 2022 წლის სექტემბრიდან არიან ჩართულნი პროგრამის სატესტო რეჟიმში. აღნიშნული პროგრამის გაშვება რეალურ რეჟიმში განხორციელდება 2023 წლის განმავლობაში.
3.2.10. IAF/ILAC ში GAC ის სრული წევრობისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება	შესაბამისი განაცხადი მომზადებულია და გაგზავნილია IAF/ILAC - ში	www.gac.gov.ge	სსიპ - „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2022 წლის 18 მაისს, საქართველოს აკრედიტაციის ერთიანმა ეროვნულმა ორგანომ - აკრედიტაციის ცენტრმა მოიპოვა ლაბორატორიების საერთაშორისო აკრედიტაციის თანამშრომლობის (ILAC) სრულუფლებიანი წევრის სტატუსი. ასევე ხელი მოეწერა მრავალმხრივი აღიარების შეთანხმებას შემდეგ სფეროებში: <ul style="list-style-type: none"> • ტესტირება (ისო/იეკ17025 და ისო 15189) • ინსპექტირება (ისო/იეკ 17020) • კალიბრაცია (ისო/იეკ 17025) 2022 წლის 4 ივლისს, საქართველოს აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი, გახდა საერთაშორისო აკრედიტაციის ფორუმის (IAF) სრული წევრი და მრავალმხრივი აღიარების ხელშეკრულების (MLA) ხელმომწერი შემდეგ სფეროებში: <ul style="list-style-type: none"> • ისო/იეკ 17024 (პერსონალის სერტიფიცირება); • ისო/იეკ 17065 (პროდუქტის სერტიფიცირება).
ამოცანა 3.3.	დაინტერესებული მხარეების, მათ შორის ეკონომიკური ოპერატორების მომზადებისა და ადაპტაციის ხელშეწყობა დაახლოებული კანონმდებლობის იმპლემენტაციისთვის				
3.3.1. დაინტერესებული მხარეებისათვის, მათ შორის მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის შეხვედრების/სემინარების ორგანიზება	ჩატარებული შეხვედრების/სემინარების რაოდენობა; დამსწრეთა რაოდენობა	სემინარების/ შეხვედრების დამსწრეთა სია; მომზადებული საინფორმაციო მასალები	სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო; სსიპ		13 აპრილს, 2022 გაიმართა ევროკავშირის საჯარო სამსახურების დამმობილების (ტვინინგ) პროექტის “საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს (GEOSTIM) ინსტიტუციური და ადამიანური შესაძლებლობების გაძლიერება საერთაშორისო/ ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
			<p>საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო;</p> <p>სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“</p>		<p>შესაბამისად” გახსნის ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბიზნეს სექტორის, ლაბორატორიების, ასოციაციების, ხრისხის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტებისა და მარეგულირებელი ორგანოების წარმომადგენლებმა.</p> <p>ტვინინგ პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს აქტივობები პრიორიტეტულ სფეროებში სხვადასხვა დაინტერესებული პირების სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტების საქმიანობაში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით.</p> <p>2022 წლის 19 და 20 სექტემბერს, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში „ტვინინგ“ პროექტის ფარგლებში ჩატარდა სამუშაო შეხვედრები თემაზე „ეროვნული სარკისებრივი კომიტეტის (NMC) შექმნასა და ხელმძღვანელობა“, სტანდარტიზაციის ევროპულ კომიტეტებში (CEN/TC 250; CEN/TC 275) სასურსათო უსაფრთხოებისა და მშენებლობის სფეროში მომუშავე ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით.</p> <p>ტვინინგ პროექტის ფარგლებში DCFTA შეთანხმებით გათვალისწინებული საკანონმდებლო დახლოების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, დაინტერესებული პირებისათვის (მწარმებლები, იმპორტიორები, ბაზარზე ზედამხედველობის წამორმომადგენლები) მიმდინარე წლის 22 სექტემბერს სათამაშოების უსაფრთხოების ევროპული დირექტივის 2009/48/EC ჰარმონიზებულ სტანდარტებზე (EN 71-1, EN 7-2, EN 71-3); 27 ოქტომბერს „ევროპული სტანდარტები სამშენებლო პროდუქტებზე – ცემენტი, არმატურა, თაბაშირ-მუყაო“. სემინარებში ევროპელ ექსპერტთან ერთად მონაწილეობა მიიღეს სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტისა და ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს</p>

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>წარმომადგენლებმა. თითოეულ სემინარს დაესწრო 30-ზე მეტი ორგანიზაციის წარმომადგენელი შესაბამისი სფეროდან.</p> <p>ევროკავშირის AA Facility პროექტის დახმარებით, ქალაქ თბილისში და ქუთაისში ჩატარდა 3 საინფორმაციო შეხვედრა ბიზნეს ოპერატორებთან (დაახლოებით 80 დაინტერესებულ პირი) „მაგვის გარკვეულ ზღვრებში გამოსაყენებელი ელექტრო მოწყობილობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ პროექტის თაობაზე.</p> <p>2022 წლის 7 აპრილს, თბილისში, სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული აკრედიტაციის ცენტრის „ტვინინგის“ პროექტის ფარგლებში გაიმართა შუალედური კონფერენცია. კონფერენციის მიზანი იყო ქართული საზოგადოების ინფორმირება აკრედიტაციის მნიშვნელობისა და საერთაშორისო ვაჭრობასა და ეკონომიკაზე აკრედიტაციის პროცესის გავლენის შესახებ. ტრენინგს დაესწრო 60 ადამიანი.</p> <p>2022 წლის 15-16 ივნისს, სასტუმრო „ჰოლიდეი ინ“-ში გერმანიის აკრედიტაციის ორგანოს ექსპერტის ვოლფრამ ჰარტმანის მიერ ჩატარდა ტრენინგი ISO/TS 22003 სტანდარტის შესახებ. ღონისძიებას სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად ესწრებოდნენ საქართველოს ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლები. ტრენინგს ესწრებოდა 30 ადამიანი.</p> <p>2022 წლის 22 სექტემბერს, „ტვინინგის“ პროექტის ფარგლებში მოწვეული იტალიელი ექსპერტის, აუგუსტინო პავინის მიერ ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა საქართველოს ბაზრის ზედამხედველობის, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოების და შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების წარმომადგენლებთან. შეხვედრა ეხებოდა</p>

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>წნევის ქვეშ მომუშავე ჭურჭელის დირექტივას. ღონისძიებას ჯამში დაესწრო 20 ადამიანი.</p> <p>2022 წლის 12-13 ივლისს მოწვეული ექსპერტი იგორ გალოს მიერ ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა საქართველოს ბაზრის ზედამხედველობის და შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების წარმომადგენლებთან. შეხვედრას მოწვეულ სტუმრებთან ერთად ესწრებოდნენ აკრედიტაციის ცენტრის შემფასებლები. შეხვედრის მიზანი იყო სათამაშოების დირექტივის და QI სისტემის მიმოხილვა.</p> <p>2022 წლის 10 ნოემბერს, სააგენტოსა და ლატვიის სტანდარტიზაციის ეროვნულ ორგანოს (LVS) შორის არსებული პროექტის „Building the capacity of National Standardization Institutions of Georgia and Moldova to establish support tools for SMEs on conformity assessment in the EU single market“ ფარგლებში, გაიმართა საჯარო სემინარი თემაზე „მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ინსტრუმენტები ევროკავშირის ბაზარზე შესვლასველად“. სემინარს ესწრებოდნენ საქართველოში მოქმედი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები.</p>
3.3.2. ტექნიკური რეგლამენტების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით ელექტრონული ან/და ბეჭდური მასალების/საინფორმაციო ბროშურების მომზადება	მომზადებული ელექტრონული ან/და ბეჭდური მასალები/საინფორმაციო ბროშურები	სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული საინფორმაციო ბროშურები	სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო		თითოეულ პროდუქტთან დაკავშირებით მომზადებულია და სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებულია მოკლე საინფორმაციო მასალები (https://msa.gov.ge/geo).
3.3.3. აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოებისთვის ტრენინგების ორგანიზება მათ საქმიანობასთან დაკავშირებული	ორგანიზებული ტრენინგების რაოდენობა; ტრენინგებზე დამსწრე შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების რაოდენობა	უწყების წლიური ანგარიში; www.gac.gov.ge	სსიპ - „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების	2022 წლის 27-28 მარტს, აკრედიტაციის ცენტრის მიერ ჩატარდა ტრენინგი სსტ ისო/იეკ 17043 სტანდარტის შესახებ. ტრენინგს დაესწრო 15 ადამიანი. სანგარიშო პეროდში, აკრედიტაციის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ტრენინგები შესაბამისობის შემფასებელი ორგანიზაციების წარმომადგენლების, აკრედიტაციის ცენტრის ტექნიკური ექსპერტების,

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
<p>სტანდარტების სფეროში და სხვა აკრედიტაციის სფეროში მოქმედი საერთაშორისო და ევროპული ორგანიზაციების მიერ მიღებული საკვლადებულო დოკუმენტების სფეროებში</p>			<p>ციის ცენტრი“</p>	<p>რების სამინისტრო</p>	<p>ტექნიკური შემფასებლებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის:</p> <ul style="list-style-type: none"> • 2 მაისს ტრენინგი ჩატარდა ისო/იეკ 17020 სტანდარტის შესახებ. ღონისძიებას დაესწრო 15 პირი, მათ შორის სამსენებლო ინსპექტირების ორგანოების წარმომადგენლები. • 3, 5 და 6 მაისს ტრენინგები ჩატარდა ისო/იეკ 17025 სტანდარტის შესახებ. ღონისძიებას ესწრებოდნენ საგამოცდო და საკალიბრო ლაბორატორიების წარმომადგენლები. ტრენინგებს ჯამში დაესწრო 45 მონაწილე • 10 და 16 მაისს ტრენინგები ჩატარდა ისო/იეკ 17020 სტანდარტის შესახებ. ტრენინგებს დაესწრო 27 ადამიანი, მათ შორის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების წარმომადგენლები. • 15-17 ნოემბერს „ტვინინგის“ პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი ისო/იეკ 17043 და ისო 13528 სტანდარტების შესახებ. აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად, ღონისძიებას ესწრებოდნენ პროფესიული ტესტირების მომწოდებელი აკრედიტებული ორგანიზაციების წარმომადგენლები. ჯამში შეხვედრას დაესწრო 10 ადამიანი.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
3.3.4. აკრედიტაციის წესებისა და პროცედურების შესახებ აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოების წარმომადგენლებს შორის ცნობიერების ამაღლება	ორგანიზებული ტრენინგების რაოდენობა; ტრენინგებზე დამსწრე აღმასრულებელ საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოების წარმომადგენლების რაოდენობა	უწყების წლიური ანგარიში; www.gac.gov.ge	სსიპ - „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „დამმობილების“ და „საქართველოში ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების განხორციელების მექანიზმი – II“ პროექტების ერთობლივი დაფინანსებით, აკრედიტაციის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა სემინარები საქართველოში, ევროპასა და გლობალურად არსებული აკრედიტაციის სიტემების შესახებ. აღნიშნული ღონისძიება მიზნად ისახავდა მოსამართლეებისთვის ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოში, ევროპაში და გლობალურად არსებული აკრედიტაციის სისტემების წარმოდგენას, საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის წესებისა და პროცედურების მიმოხილვას და გერმანიის და იტალიის აკრედიტაციის ცენტრების მიერ მომზადებული რეალური შემთხვევების განხილვას. 2022 წლის 1-3 აპრილს, ღონისძიება ჩატარდა აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ინსტანციის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეებისთვის ხოლო 2022 წლის 15-17 ივლისს - დასავლეთ საქართველოს მოსამართლეებისთვის. ჯამში ღონისძიებებს დაესწრო 40 მოსამართლე.
ამოცანა 3.4	შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება				
აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
				ეროვნული სააგენტო	
4.4.2. დაახლოებული სანიტარიული და ფიტოსანიტარიული კანონმდებლობის განხორციელებისთვის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ინფრასტრუქტურის - 1 სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის აშენება/ რეკონსტრუქციისთვის და აღჭურვისთვის დაფინანსების მოძიება	1 სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის დაფინანსება მოძიებულია	შემოსავლების სამსახურის წლიური ანგარიში rs.ge	სსიპ-შემოსავლების სამსახური	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო	მიმდინარეობს დონორის მოძიება.
მიზანი 5.	საბაჟო სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასა და ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკასთან დაახლოება				
ამოცანა 5.1.	საქართველოს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორების (AEO) პროგრამის შემდგომი დაახლოება ევროკავშირის პროგრამასთან				
5.1.1. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის პროგრამის პროცედურული სახელმძღვანელოს იმპლემენტაციის მიზნებისთვის საბაჟო ოფიცრების გადამზადება	ტრენინგებში მონაწილეთა რაოდენობა	rs.ge	სსიპ-შემოსავლების სამსახური		მიმდინარე წლის 31 იანვრიდან 4 თებერვლის პერიოდში მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მხარდაჭერით გაიმართა ტრენინგები შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის (9 თანამშრომელი). ტრენინგზე განხილული იქნა AEO სახელმძღვანელოს იმპლემენტაციის საკითხები. მიმდინარე წლის 10-11 მაისს გაიმართა ევროკავშირის TAIEX-ის პროგრამის მხარაჭერით ორგანიზებული სამუშაო შეხვედრა საქართველოში ავტორიზებული ეკონომიკური პროგრამის შესაძლებლობების განვითარების მიზნით. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო საბაჟო ადმინისტრაციის (13 ოფიცერმა/თანამშრომელმა) და ევროკავშირის ექსპერტებმა.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
5.1.2. AEO-ის ურთიერთ აღიარების მემორანდუმის გაფორმება ევროკავშირთან	დაწყებულია კონსულტაციები AEO-ს ურთიერთაღიარების მემორანდუმის გაფორმების პროცესი საქართველოსა და ევროკავშირს შორის	საბაჟო ქვეკომიტეტის სხდომის ოქმი - https://trade.ec.europa.eu/	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	მიმდინარე წლის 17 მარტს ევროკომისიის საბაჟო და საგადასახადო ადმინისტრაციას ეცნობა ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორების პროგრამის პრაქტიკული იმპლემენტაციის ამოქმედების შესახებ, რაც წარმოადგენს ურთიერთ-აღიარების მემორანდუმის წინა პირობას. AEO MRA-ს კონსულტაციების წარმოების შესახებ საკითხი განხილულ იქნა საქართველოსა და ევროკავშირის შორის საბაჟო ქვე-კომიტეტის მუშაობის ფარგლებში (9 ივნისი)
5.1.3. საქართველოს მონაწილეობა ევროკავშირის საბაჟო პროგრამაში	ევროკავშირის საბაჟო პროგრამასთან საქართველოს მიერთების თაობაზე შეთანხმების ხელმოწერა და ძალაში შესვლა; ევროკავშირის საბაჟო პროგრამის ფარგლებში გამართულ ტრენინგებში მონაწილე შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა	Matsne.gov.ge Rs.ge			ხელშეკრულება ევროკავშირის საბაჟო პროგრამასთან საქართველოს მიერთების თაობაზე ხელმოწერილია, პირობითად ძალაშია შესული, სრულად ამოქმედებისათვის დაწყებულია სარატიფიკაციო პროცედურები.
ამოცანა 5.2.	„ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ“ (CTC) და „ერთიანი ადმინისტრირების დოკუმენტის“ (SAD) კონვენციებთან მიერთების და „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის“ „NCTS“ იმპლემენტაციისთვის სამართლებრივი და პროცედურული მხარდაჭერა				
5.2.1 „ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ“ (CTC) და „ერთიანი ადმინისტრირების დოკუმენტის“ (SAD) კონვენციების შესაბამისი საკანონმდებლო/კანონქვემდებარე აქტების შემუშავება	მიღებული საკანონმდებლო/კანონქვემდებარე აქტები	matsne.gov.ge rs.ge	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სსიპ - შემოსავლების სამსახური		მიმდინარეობს რეგულარული ყოველთვიური შეხვედრები შემოსავლების სამსახურისა და ევროკომისიის საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის შემუშავების მიზნით.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
ამოცანა 5.3.	„ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ“ (CTC) და „ერთიანი ადმინისტრირების დოკუმენტის“ (SAD) კონვენციებთან მიერთების მიზნით „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის“ “NCTS” იმპლემენტაციისთვის საინფორმაციო ტექნოლოგიური მხარდაჭერა				
5.3.1. NCTS კომპიუტერული პროგრამის შექმნა/შესყიდვა	შემოსავლების სამსახურში დანერგილი პროგრამა	საბაჟო მონაცემთა მართვის ავტომატიზირებული სისტემა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სსიპ - შემოსავლების სამსახური		NCTS პროგრამის შექმნა დასრულებულია
5.3.2 საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომელთა და კერძო სექტორის წარმომადგენელთა ტრენინგი NCTS კომპიუტერული პროგრამის გამოყენებისთვის	ტრენინგებში მონაწილეთა რაოდენობა	წლიური ანგარიში/ პრესრელიზი; Rs.ge	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სსიპ - შემოსავლების სამსახური		მიმდინარე წლის 10-11 ნოემბერს, შემოსავლების სამსახურს ეწვია „გაეროს კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების შესახებ (UNCTAD)“ წარმომადგენლები, რომლებმაც გამართეს ტრენინგები, როგორც შემოსავლების სამსახურის ასევე კერძოს სექტორის წარმომადგენლებისათვის NCTS სისტემის გამოყენების საკითხებზე.
ამოცანა 5.4.	ახალი საბაჟო კოდექსის იმპლემენტაციის ხელშეწყობა				
5.4.1 ახალი საბაჟო კოდექსის ცალკეული მუხლების საიმპლემენტაციო ნორმების შემუშავების მიზნით სამუშაო შეხვედრების/სემინარების ორგანიზება	ორგანიზებული შეხვედრების რაოდენობა	www.rs.ge	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სსიპ-შემოსავლების სამსახური		მიმდინარე წლის 24 – 25 მაისს, გაიმართა TAIX ვორკშოპი საბაჟო კოდექსის ცალკეულ მუხლებთან დაკავშირებით. ექსპერტებმა მონაწილეებს გაზუარეს გამოცდილება და სასაუკეთესო პრაქტიკა საბაჟო კოდექსის გამარტივებული პროცედურების, დამატებითი დეკლარაციის, დეკლარაციაში და ჩანაწერებში ცვლილებების შეტანის და სხვა საკითხების შესახებ.
5.4.2 ახალი საბაჟო კოდექსის ცალკეული მუხლების საიმპლემენტაციო ნორმების პროექტების შემუშავება	საბაჟო კოდექსის ცალკეული მუხლების (მ.შ. დეკლარანტის ჩანაწერებში მონაცემების ასახვა, პერიოდული, გამარტივებული დეკლარაცია)	www.matse.gov.ge www.rs.ge	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სსიპ - შემოსავლების სამსახური		მიმდინარე წლის 21 ივნისი - 13 ივლისის პერიოდში „ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერის პროექტის (AA Facility)“, ფარგლებში, შემოსავლების სამსახურს სამუშაო ვიზიტით ეწვია იტალიელი ექსპერტი. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტი, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებთან ერთად მუშაობდა

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
	საიმპლემენტაციო ნორმები შემუშავებულია				ახალი საბაჟო კოდექსის ცალკეული მუხლების საიმპლემენტაციო ნორმების პროექტების შემუშავების საკითხებზე. 12 ივლისს გაიმართა შემაჯამებელი ვორკშოპი კერძო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით, სადაც მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია აღნიშული პროექტის მიმდინარეობის შესახებ.
5.4.3. საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების პროცედურული სახელმძღვანელოს შემუშავება	მიღებული პროცედურული სახელმძღვანელო	www.matse.gov.ge www.rs.ge	სსიპ-შემოსავლები ს სამსახური		მიმდინარეობს დონორის მოძიება.
5.4.4. შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისთვის სამუშაო შეხვედრის ორგანიზება საბაჟო ვალდებულებებისგან გათავისუფლების შესახებ დებულებების გამოყენებასა და სათანადო ადმინისტრირების მიზნით, რომელიც განსაზღვრულია საბაჟო კოდექსის მე-10 წიგნით	სამუშაო შეხვედრაში მონაწილე თანამშრომელთა რაოდენობა	www.rs.ge	სსიპ შემოსავლები ს სამსახური	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	მიმდინარე წლის 11 – 21 ივლისის პერიოდში, „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერის პროექტის (AA Facility)“, ფარგლებში, შემოსავლების სამსახურს სამუშაო ვიზიტით ეწვია პოლონელი ექსპერტი. ვიზიტის ფარგლებში მომზადდა საბაჟო ვალდებულებებისგან გათავისუფლების შესახებ დებულებების პროექტის პირველადი ვარიანტი. 22 ივლისს გაიმართა შემაჯამებელი ვორკშოპი სადაც შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელ პირებს წარედგინათ ინფორმაცია აღნიშნული პროექტის შესახებ.
მიზანი 6.	დაფუძნების, მომსახურებით ვაჭრობისა და ელექტრონული კომერციის სფეროში საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან				
ამოცანა 6.1.	ტელეკომუნიკაციების, ელ. კომერციისა და ფოსტის მომსახურების სფეროებში ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შემუშავება და საფოსტო ბაზრის განვითარების ხელშეწყობა				
6.1.1. “ელექტრონული კომერციის შესახებ” საქართველოს კანონის მიღება	"ელექტრონული კომერციის შესახებ" მიღებული საქართველოს კანონი	matsne.gov.ge dcfta.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით, საქართველოს პარლამენტს, 2022 წლის დეკემბერში, წარედგინა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მომზადებული კანონის პროექტი თანმდევ კანონის პროექტებთან ერთად.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
6.1.2. საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ასოცირების შეთანხმების XV-B დანართით გათვალისწინებულ ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან	XV-B დანართით გათვალისწინებულ ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან დაახლოების მიზნით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები	matsne.gov.ge dcfta.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია	<p>საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ (2002/58/EC); ავტორიზაციის შესახებ (2002/20/EC); დაშვების შესახებ (2002/19/EC) და ჩარჩო(2002/21/EC) დირექტივებთან მომზადებულია ცვლილებების პროექტი საქართველოს კანონში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, ამასთან, ევროკომისიის მიერ შემოთავაზებული იქნა საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება „ეროპის პარლამენტის და საბჭოს 2018/1972/EU დირექტივასთან ევროპული ელექტრონული საკომუნიკაციო კოდექსის (EECC) დამტკიცების შესახებ“ რაზეც მიმდინარეობდა კონსულტაციები ევროკავშირთან.</p> <p>ამასთან, სამინისტროსა და კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან ერთად მსოფლიო ბანკთან დაწყებულ „Log-in Georgia“ პროექტის ფარგლებში, რომელშიც საკონსულტაციო მომსახურების გაწევის მიზნით კომპანია EY-იც იყო ჩართული, მიმდინარეობდა მუშაობა უნივერსალურ მომსახურებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების საკითხებზე. კანონის პროექტი შემუშავებულია, მისი მიღების მიზნით, იგეგმება შემდგომი პროცედურების განხორციელება.</p>
6.1.3. "ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის მიღება	მიღებული "ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონი	matsne.gov.ge dcfta.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		<p>კანონის პროექტი „ფოსტის შესახებ“ შემუშავებულია ევროდირექტივების (N97/67/EC დირექტივა ევროკავშირის საფოსტო მომსახურების შიდა ბაზრის განვითარების და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების საერთო წესების შესახებ; N2002/39/EC დირექტივა, რომლითაც ცვლილებები შევიდა N97/67/EC დირექტივაში, რომელიც ეხება ევროკავშირის საფოსტო მომსახურების შემდგომ გახსნას კონკურენციისთვის; N2008/6/EC დირექტივა, რომლითაც ცვლილებები შევიდა N97/67/EC დირექტივაში, რომელიც ეხება ევროკავშირის საფოსტო</p>

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					მომსახურების შიდა ბაზრის სრულ ხელმისაწვდომობას) შესაბამისად. ამასთან, ევროკომისიასთან შედგა შეთანხმება მათ მიერ შემოთავაზებული ახალი ვალდებულების (საზღვრისპირა ამანათების მიტანის შესახებ რეგულაციის) საქართველოს კანონმდებლობაში ინტეგრირებასთან დაკავშირებით, რომლის შესაბამისად მოდიფიცირდება კანონპროექტი “ფოსტის შესახებ” და წარდგენილი იქნება საქართველოს მთავრობისთვის.
მიზანი 7.	სახელმწიფო შესყიდვების სფეროში საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება				
ამოცანა 7.1.	საჯარო შესყიდვების შესახებ ახალი კანონის და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება და ამ თემატიკასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოების, მეთოდური მითითებების და ინსტრუქციების შემუშავება				
7.1.1. სახელმწიფო შესყიდვების სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება ასოცირების შეთანხმების XVI-C, XVI-D დანართების შესაბამისად	“საჯარო შესყიდვების შესახებ” მიღებული კანონი	matsne.gov.ge; procurement.gov.ge; spa.ge	სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო		<p>საჯარო შესყიდვების სფეროს კომპლექსური რეფორმის ფარგლებში, “საჯარო შესყიდვების შესახებ” მომზადებულ ახალ კანონპროექტთან დაკავშირებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ 2022 წლის პირველ კვარტალში დაასრულა კანონპროექტზე მუშაობა. კანონპროექტში ასახა საქართველოს სამთავრობო უწყებების მიერ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ახალი კანონპროექტი ასახავს AA/DCFTA-ით გათვალისწინებული საკანონმდებლო დაახლოების II და IV ფაზის ვალდებულებებს, შესაბამისი ვალდებულებების ეტაპობრივად ამოქმედებას.</p> <p>საქართველოს მთავრობის 2022 წლის 6 ივნისის სხდომაზე, კანონპროექტი მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ და წარედგინა საქართველოს პარლამენტს განსახილველად.</p> <p>2022 წლის დეკემბრის თვეში პარლამენტმა, პლენარულ სხდომაზე, პირველი და მეორე მოსმენით განიხილა და მცირედენი შენიშვნებით მიიღო „საჯარო შესყიდვების შესახებ“ კანონი. კანონპროექტში</p>

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>აისახა პარლამენტარების მიერ გამოთქმული შენიშვნები და მომზადდა იგი მესამე მოსმენისთვის.</p> <p>პარალელურად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამასთან, რომლის ფარგლებშიც, დაგეგმილია საქართველოს პარლამენტში თემატური შეხვედრების ორგანიზება ახალ კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის წევრები, კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. აღნიშნული შეხვედრები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კანონპროექტის საპარლამენტო განხილვის პროცედურებს.</p>
7.1.2. „საჯარო შესყიდვების შესახებ“ კანონიდან გამომდინარე „მეორადი კანონმდებლობის“ - კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება და მიღება	მიღებული მეორადი კანონმდებლობა	matsne.gov.ge; procurement.gov.ge; spa.ge	სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო		<p>მიმდინარეობდა კომპეტენციების განაწილების პროცესი საჯარო შესყიდვების მარეგულირებელ ძირითად და მეორად კანონმდებლობას შორის.</p> <p>სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ „საჯარო შესყიდვების შესახებ“ ახალი კანონპროექტიდან გამომდინარე, მოამზადა იმ კანონქვემდებარე აქტების ჩამონათვალი რომელიც აუცილებელია გამოიცეს ახალი კანონის სრულფასოვანი ამოქმედებისათვის. სწორედ ამ მიზნით, 2022 წლიდან, USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით განხორციელდა უცხოელი ექსპერტის დაქირავება. მომზადდა მეორადი კანონმდებლობის პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებზეც ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა. საერთაშორისო ექსპერტის მიერ უკვე შემუშავდა ორი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი.</p>

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
7.1.3. მიღებული „საჯარო შესყიდვების შესახებ“ კანონიდან გამომდინარე სახელმძღვანელოების, მეთოდური მითითებებისა და ინსტრუქციების შემუშავება და ელექტრონულად გამოქვეყნება ვებ-გვერდზე	გამოქვეყნებული მეთოდური მითითებები, სახელმძღვანელოები და ინსტრუქციები	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წლიური ანგარიში; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს e-Newsletter; procurement.gov.ge; spa.ge	სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო		სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, მუშაობს „საჯარო შესყიდვების შესახებ“ ახალი კანონპროექტიდან გამომდინარე, შესაბამისი მეორადი კანონმდებლობისა და სამომავლო გეგმის ჩამოყალიბებაზე შესაბამისი მეთოდური მითითებების, სახელმძღვანელოებისა და ინსტრუქციების შემუშავების მიზნით.
ამოცანა 7.2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მოდერნიზება					
7.2.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (e-Procurement) ახალი ელ. სერვისების, პროცედურების და ინსტრუმენტების განვითარება/დანერგვა	სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის დამატებით დანერგილი სერვისები და შესაძლებლობები	მოდერნიზებული სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა (e-Procurement; Electronic Government procurement system); სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წლიური ანგარიში; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს e-Newsletter; procurement.gov.ge ; spa.ge	სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ; ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური	ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულების თანახმად, გათვალისწინებულია ევროკავშირის 2014/24/EC დირექტივასთან საკანონმდებლო დაახლოება, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს ამჟამად მოქმედ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში ახალი ელექტრონული სერვისების, ინსტრუმენტების და პროცედურების დანერგვას. ელ.სისტემის კარდინალური მოდერნიზება და შესაბამისად სრულიად ახალი ელექტრონული სერვისების დანერგვა დაკავშირებულია „საჯარო შესყიდვების შესახებ“ ახალი კანონის მიღებაზე და მისი ამოქმედების ვადებზე.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
ამოცანა 7.3.					
ადამიანური რესურსების განვითარება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში					
7.3.1. „საჯარო შესყიდვების შესახებ“ ახალი კანონიდან გამომდინარე ტრენინგების განხორციელება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესაბამისი თანამშრომლებისათვის	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა, 20 გადამზადებული თანამშრომელი.	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წლიური ანგარიში; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს e-Newsletter; procurement.gov.ge ; spa.ge	სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო		<p>2022 წლის 14 თებერვალს გაიმართა ონლაინ ვორქშოფი - „ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ex-post შეფასების შუალედური შედეგები“. ვორქშოფის მიზანი იყო შეფასების შუალედური შედეგების პრეზენტაცია და განხილვა.</p> <p>2022 წლის 10 მარტს, მსოფლიო ბანკის რეგიონული ოფისის ორგანიზებით, გაიმართა რეგიონული ვორქშოპი საქართველოსა და სომხეთის წარმომადგენლებისათვის თემაზე „ერთობლივი მუშაობა შესყიდვებში თაღლითობისა და კორუფციის აღმოფხვრის მიზნით“.</p> <p>2022 წლის 23-24 მარტს, აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის კომერციული სამართლის პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით, გაიმართა ორდღიანი კონფერენცია თემაზე „ეკოლოგიურად მდგრადი საჯარო შესყიდვები“. კონფერენციას ესწრებოდნენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და ათობით მსხვილი შემსყიდველი ორგანიზაციების წარმომადგენლები.</p> <p>2022 წლის 30 მაისსა და 27 ივნისს გაიმართა ტრენინგები „საქართველოში მდგრადი საჯარო შესყიდვების წახალისება: მწვანე კრიტერიუმები ფოტოასლების გადასაღები მოწყობილობებისა და სახარჯი მასალებისათვის“. ტრენინგი ჩატარდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული “EU4Environment” პროგრამის ფარგლებში.</p> <p>2022 წლის 13-15 ივნისს, ხორვატიის ქალაქ ზაგრებში, აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის კომერციული სამართლის პროგრამის (CLDP) გაიმართა რეგიონალური კონფერენცია. კონფერენციის მიზანი იყო მონაწილე ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარება</p>

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>სამართლებრივი და მარეგულირებელი კანონმდებლობის დანერგვის მიზნით. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომლებმა, რომლებიც გაეცნენ ახალი ელექტრონული და კომპიუტერული სისტემების დანერგვის და კიბერუსაფრთხოების საკითხებს.</p> <p>2022 წლის, 2022 წლის, 4-6 ივლისს, იტალიაში, რომის უნივერსიტეტში გაიმართა ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია საჯარო შესყიდვების თემატიკაზე - GPC2022 - 7th Global Procurement Conference. სააგენტოს ხელმძღვანელმა პირებმა მიიღეს მონაწილეობა საერთაშორისო დისკუსიებში, დაამყარეს საქმიანი კონტაქტები კოლეგებთან სხვადასხვა ქვეყნებიდან, დამატებით მოლაპარაკებები გამართეს სამომავლო თანამშრომლობაზე იტალიის, აშშ, მაკედონიის, უკრაინის, აზერბაიჯანისა და ბელორუსის ოფიციალურ პირებთან.</p> <p>2022 წლის 14-16 სექტემბერს, შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლები, სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ნორვეგიის ქალაქ დრამენსა და ოსლოში. ვიზიტი გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური კომისია ევროპისთვის (UNECE) ორგანიზებით. ვიზიტის მიზანი იყო საჯარო შესყიდვებში ინოვაციების ხელშეწყობი რეგულაციების ტრანსპოზიციის მიზნით, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობა და მისი დანერგვის მიზნით, ისეთი ახალი კონცეფციებისა და მიდგომების შემოღება, როგორებიცაა ცირკულარული ეკონომიკის პრინციპები, ე.წ. „მწვანე“ შესყიდვები, ენერგო-ეფექტური შესყიდვები, ეკო-მარკირება, SPP (Sustainable Public Procurement), IEP (Innovation-Enhancing Procurement) და სხვა. სასწავლო ვიზიტში მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო შესყიდვებისა და ინოვაციების სააგენტოს წარმომადგენლებმა.</p>

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>მიმდინარე წლის ოქტომბრისა და ნოემბრის თვეში, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) მჭიდრო თანამშრომლობით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „EU4Environment“ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:</p> <ul style="list-style-type: none"> • 12-13 ოქტომბერს გაიმართა საქართველოში მდგრადი საჯარო შესყიდვების შესახებ ორდღიანი ონლაინ სასწავლო კურსი. • 26-27 ოქტომბერს ჩატარდა მედია სემინარი და პრესტური კახეთის რეგიონში, საქართველოში მწვანე ეკონომიკის შესახებ. • 7-8 ნოემბერს გაიმართა საქართველოში მდგრადი საჯარო შესყიდვების შესახებ ორდღიანი ონლაინ სასწავლო კურსი. <p>მიმდინარე წლის 10-12 ოქტომბერს, აშშ-ს კომერციული სამართლის პროგრამის ორგანიზებით, ლიეტუვის ქალაქ ვილნიუსში გაიმართა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების რეგიონალური „კორკოპი“ თემაზე „მდგრადი საჯარო შესყიდვები“. ღონისძიებას ესწრებოდნენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლები.</p>
<p>7.3.2. „საჯარო შესყიდვების შესახებ“ ახალი კანონიდან გამომდინარე ტრენინგების განხორციელება შემსყიდველი ორგანიზაციების, ეკონომიკური ოპერატორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის</p>	<p>შემსყიდველი ორგანიზაციების, ეკონომიკური ოპერატორების და დაინტერესებული მხარეების გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა: 28 ნაკადი 2022 სასწავლო წლის განმავლობაში. ჯამში 600 მსმენელზე მეტი.</p>	<p>სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წლიური ანგარიში; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს e-Newsletter; procurement.gov.ge ; spa.ge</p>	<p>სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო</p>		<p>2022 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის მიერ ჩატარდა ძირითადი ონლაინ ტრენინგების 26 ნაკადი, ჯამში გადამზადდა ცენტრალური ხელისუფლების სახელმწიფო უწყებებიდან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების შესყიდვების სფეროში დასაქმებული 572 სპეციალისტი.</p> <p>2022 წლის 23-24 მარტს, აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის კომერციული სამართლის პროგრამის (CLDP)</p>

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					მხარდაჭერით, გაიმართა ორდღიანი კონფერენცია თემაზე „ეკოლოგიურად მდგრადი საჯარო შესყიდვები“. კონფერენციაზე მოწვეულნი იყვნენ 40-მდე მსხვილი შემსყიდველი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც გაეცნენ მდგრადი საჯარო შესყიდვების დანერგვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.
მიზანი 8.	ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ევროკავშირის სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან დაახლოება				
ამოცანა 8.1	ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა				
8.1.1 შესაბამისი სამთავრობო ან აღმასრულებელი უწყებების წარმომადგენლებისათვის, მოსამართლეებისათვის და ადვოკატებისათვის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხზე ტრენინგების ჩატარება	შესაბამისი სამთავრობო ან აღმასრულებელი უწყებების წარმომადგენლებისათვის, მოსამართლეებისა და ადვოკატებისათვის ორგანიზებული ტრენინგების რაოდენობა	sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლა	<p>მიმდინარე წლის 25 თებერვალს, ევროკავშირისა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების შესახებ პროექტის (EUGIPP) კომპონენტის „ევროკავშირისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი და აღსრულებაზე უფლებამოსილი პირებისათვის სახელმძღვანელო პრინციპების შექმნა“ ფარგლებში შედგა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და საქპატენტის წარმომადგენლებმა.</p> <p>მიმდინარე წლის 4 მარტს, საქპატენტის სასწავლო ცენტრმა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებისათვის სასაქონლო ნიშნების შესახებ ტრენინგი ჩატარა. სწავლება მიზნად ისახავდა საჯარო რეესტრის წარმომადგენლებისათვის სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის პროცედურების კუთხით გამოცდილების გაზიარებას, მათ შორის საფირმო დასახელებებისა და სასაქონლო ნიშნების დაცვის სამართლებრივი საკითხების გაცნობას.</p> <p>2022 წლის 6 აპრილს, ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი პროექტის (EUGIPP) ფარგლებში სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების</p>

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>აღსრულებაში ჩართული სახელმწიფო უწყებებისა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის წარმომადგენლები, ასევე, EUGIPP-ში ჩართული ინტელექტუალური საკუთრების სფეროში აღსრულების ექსპერტი. შეხვედრა მიზნად ისახავდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულებასთან დაკავშირებული საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობასა და მასზე დაყრდნობით შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტზე დისკუსიის გამართვას.</p> <p>6-7 აპრილსა და 6 ივნისს პროექტის - EUGIPP ფარგლებში სამუშაო შეხვედრების სერია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულებაში ჩართული სახელმწიფო უწყებებისა და საქპატენტის წარმომადგენლები, ასევე, EUGIPP-ის ექსპერტი. შეხვედრები მიზნად ისახავდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულებასთან დაკავშირებული საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობას და მასზე დაყრდნობით ექსპერტის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებებისა და სახელმძღვანელოს პროექტზე დისკუსიის გამართვას.</p> <p>30-31 ივლისს, ბათუმში გაიმართა მრგვალი მაგიდა - "სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა ინტელექტუალური საკუთრების საქმეებთან დაკავშირებით", რომლის მიზანი იყო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მიმართულებით აშშ-ს გამოცდილების გაზიარება ქართველი მოსამართლეებისთვის. ორი დღის განმავლობაში, სამუშაო შეხვედრაში მონაწილე მოსამართლეები, გაეცნენ აშშ-ს სასამართლო პრაქტიკას ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებულ დავებზე და იმსჯელეს საქპატენტის</p>

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>სააპელაციო პალატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.</p> <p>20 სექტემბერს, EUGIPP პროექტის ფარგლებში, კახეთის რეგიონში გაიმართა საკონსულტაციო ხასიათის შეხვედრა, სადაც საქპატენტისა და EUGIPP პროექტის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდნენ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების სფეროში ჩართული სახელმწიფო უწყებებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები. კონსულტაცია მიზნად ისახავდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტზე კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლების მოსაზრებების განხილვას და უფლებების აღსრულების მიმართულებით მათი შესაძლებლობების გამოვლენას.</p> <p>21 სექტემბერს, კახეთში, საჯარო სექტორის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა სემინარი, სადაც ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) წარმომადგენლებმა ქართველ კოლეგებს გაუზიარეს ევროკავშირში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულებასთან დაკავშირებული სიახლეები, ევროპული გამოცდილება და პრაქტიკა.</p> <p>22 სექტემბერს, კახეთის რეგიონში, საჯარო უწყებების წარმომადგენლებისათვის გაიმართა ტრენინგი, EUGIPP პროექტის კომპონენტის ფარგლებში შემუშავებული აღსრულებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოების შესახებ.</p> <p>11-12 ნოემბერს, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში ევროპული სასამართლოების პრაქტიკის გაზიარების მიზნით, ბორჯომში, ევროპელი და ქართველი მოსამართლეების მონაწილეობით</p>

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					ორდღიანი შეხვედრა ჩატარდა. შეხვედრაში საქართველოდან 11-მა მოსამართლემ მიიღო მონაწილეობა, რომლებსაც ევროპის სასამართლოების საუკეთესო პრაქტიკა გაუზიარეს ევროკავშირის საერთო სასამართლოს (GCEU), მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს (CJEU), ლიეჟის კომერციული სასამართლოს (ბელგია) მოქმედმა მოსამართლეებმა და EUIPO-ს სააპელაციო საბჭოს (BOA) წევრებმა.
8.1.2 ევროკავშირის სასამართლოს, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) სააპელაციო პალატის საინტერესო და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების კრებულის მომზადება.	მომზადებული გადაწყვეტილებების კრებული	sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“		EUGIPP პროექტის ფარგლებში შერჩეულმა ექსპერტმა ჯგუფმა, მუშაობა დაასრულა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებული სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ კრებულზე.
8.1.3 გზამკვლევის შემუშავება (ევროკავშირისა და საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის შედარებითი ანალიზი ინტ. საკუთრების უფლებების აღსრულების შესახებ)	შემუშავებული გზამკვლევი	გზამკვლევის საქპატენტის ოფიციალურ გვერდზე განთავსება (sakpatenti.gov.ge)	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“		EUGIPP პროექტის ფარგლებში შერჩეულმა ექსპერტმა ჯგუფმა, მუშაობა დაასრულა EUGIPP პროექტის ფარგლებში შემუშავებულდა გზამკვლევზე.
ამოცანა 8.2.	სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ ინსტიტუციური გაძლიერება				
8.2.1. საქპატენტის თანამშრომელთათვის ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების გამართვა; მესამე ქვეყნების მთავრობებსა და სამრეწველო ასოციაციებთან ორმხრივი შეხვედრების, და	თანამშრომელთათვის ორგანიზებული შეხვედრებისა და ტრენინგების მონაწილეთა რაოდენობა	sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“		18 მარტიდან 5 დღის ფარგლებში, WIPO-ს აკადემიამ ტრენინგ საჭიროების დიაგნოსტიკის შესახებ საქპატენტის სასაწავლო ცენტრის ტრენინგები გადაამზადა. ტრენინგის მიზანი იყო, ტრენინგის კომპონენტების განსაზღვრა, ტრენინგ-საჭიროებების გამოვლენა და შეფასება, რაც უზრუნველყოფს შიდა თუ გარე აუდიტორიაზე გათვლილი სასწავლო აქტივობების უკეთ დაგეგმვასა და განხორციელებას.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
<p>სემინარების ორგანიზება, რათა გაზიარებულ იქნას განვითარებული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა და გამოცდილება</p>					<p>სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიაში WIPO-ს აკადემიის გამოცდილების გაზიარება ხელს შეუწყობს საქპატენტის სასწავლო ცენტრში თანამედროვე საგანმანათლებლო მეთოდების დანერგვას.</p> <p>25, 28, 31 მარტსა და პირველ აპრილს, ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი პროექტის (EUGIPP) ფარგლებში, საქპატენტის თანამშრომლებისთვის ჩატარდა შეხვედრა, რომელსაც უძღვებოდა პროექტის კომპონენტის „ადამიანური რესურსის შესაძლებლობების განვითარება“ ექსპერტი. შეხვედრებზე, რომელთაც ტრენინგის ფორმატი ჰქონდა, განხილულ იქნა შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემა და შეფასების სისტემაზე უკუკავშირის გაზიარების ტექნიკები. ტრენინგების მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს უწყებაში ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერებას, ადამიანური რესურსების მართვის ძლიერი და გამართული სისტემის შექმნით. ამასთან, ორკვირიანი ტრენინგების სერია ადამიანური რესურსების შეფასებისა და ხელშეწყობის სისტემებზე, აძლიერებს უწყების პოლიტიკას, როგორც #ISO9001 სერტიფიცირების პროცესის ნაწილს.</p> <p>მიმდინარე წლის აპრილში, EUGIPP პროექტის ფარგლებში, „საქპატენტის“ თანამშრომლებმა, ადამიანური რესურსების (HR) შეფასებისა და ხელშეწყობის ტრენინგების სერიაში მიიღეს მონაწილეობა, რომელიც მიზნად ისახავს უწყების საშემსრულებლო დონის გაძლიერებას, მაღალი სტანდარტებისა და გამართული სისტემის დანერგვას და ზოგადად ადამიანური რესურსების განვითარებას უწყებაში.</p> <p>3-4 მაისსა და 30 ივნისს საქპატენტში, EUGIPP პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგების სერია</p>

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>ინტელექტუალური საკუთრების წინასწარი დიაგნოსტიკის მომსახურების შესახებ, რომელსაც უძღვებოდა ბრიტანელი ტრენერი. პროექტის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგები მიზნად ისახავდა, საქპატენტის თანამშრომლების გადამზადებას წინასწარი დიაგნოსტიკის მომსახურების გაწევის უზრუნველსაყოფად, რადგან აღნიშნული მომსახურების დანერგვას უწყება უახლოეს მომავალში გეგმავს.</p> <p>7 ივლისს, ალიკანტეში ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებისა (EUIPO) და პროექტის “EUGIPP” მხარდაჭერით, ინტელექტუალური საკუთრების სასამართლო პრაქტიკის შესახებ რიგით მე-4 კონფერენციაზე საქართველოდან მონაწილეობა საქპატენტის წარმომადგენლებთან ერთად, უზენაესი და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმაც მიიღეს. ონლაინ მონაწილეობა მიიღო საქპატენტის 22-მა თანამშრომელმა.</p> <p>ივლისში, გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის თავისებურებების გასაცნობად, ბერნში, შვეიცარიის კონფედერაციის ინტელექტუალური საკუთრების ფედერალური ინსტიტუტი (IPI) მოწვევით ქართული დელეგაცია იმყოფებოდა. სასწავლო ვიზიტის ფარგლებში, შვეიცარიის კონფედერაციის გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემაში ჩართული საჯარო და კერძო სტრუქტურის წარმომადგენლებმა, ქართველ კოლეგებს შვეიცარიის კონფედერაციაში გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის დანერგვის მიმართულებით გამოცდილება გაუზიარეს.</p> <p>5 ივლისს, საფრანგეთში გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია „პერსპექტივები გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“, რომელიც ორგანიზებული იყო გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის</p>

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>ორგანიზაციის (FAO) და საფრანგეთის სოფლის მეურნეობის კვლევითი ცენტრის - საერთაშორისო განვითარებისათვის (CIRAD) მიერ. კონფერენციაზე გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ უახლესი კვლევების ანალიზის საფუძველზე მოხდა ქვეყნებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.</p> <p>2022 წლის 12-13 ოქტომბერს, WIPO-ს თანაორგანიზებით, საქართველოში საერთაშორისო კონფერენცია - „ინტელექტუალური საკუთრების უწყებების როლი ეროვნულ ინოვაციურ ეკოსისტემაში“ გაიმართა, რომელიც მიზნად ისახავდა, სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ ინოვაციურ ეკოსისტემაში ინტელექტუალური საკუთრების უწყებების ახალი როლის განსაზღვრასა და ამ მიმართულებით მათი პრაქტიკული გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებაში ინტელექტუალური საკუთრების უწყებების უფრო აქტიურ და ქმედით მონაწილეობას.</p> <p>8 და 9 ნოემბერს, EUGIPP პროექტის ფარგლებში შემუშავებულ სასაქონლო ნიშნების სახელმძღვანელოზე/გზამკვლევზე, საქპატენტის თანამშრომლებისთვისა და სხვა დაინტერესებულ პირებისთვის ჩატარდა სემინარი სახელმძღვანელოში ასახული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის პროცედურის შესახებ. დოკუმენტი ემსახურება საქპატენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თანმიმდევრულობას და პროგნოზირებადობას, განაცხადებზე ექსპერტიზის ჩატარების ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.</p> <p>24-25 ნოემბერს გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის თემაზე გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების მიზნით, თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ანტალიაში რეგიონული შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა სხვადასხვა ქვეყნის ინტელექტუალური</p>

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					საკუთრების უწყების წარმომადგენლებთან ერთად საქპატენტის წარმომადგენლებმა მიიღეს. შეხვედრაზე, განიხილეს გეოგრაფიული აღნიშვნების ქვეყნის საზღვრებს გარეთ დაცვის სისტემა და მწარმოებლების მიერ მისი გამოყენების შესაძლებლობები.
8.2.2. ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ოფისის დახმარებით (EUIPO) სასაქონლო ნიშნების გზამკვლევის მომზადება	პროექტით გათვალისწინებული შემუშავებული გზამკვლევი	sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“		EUGIPP პროექტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა მუშაობა დაასრულა სასაქონლო ნიშნების გზამკვლევაზე.
ამოცანა 8.3. ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცნობიერების ამაღლება					
8.3.1. ტრენინგებისა, საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრების ჩატარება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით	ჩატარებული ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების რაოდენობა	sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	-	<p>9 მარტს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის - სეუ და საქპატენტის სასწავლო ცენტრის საგანმანათლებლო თანამშრომლობის ფარგლებში, ჩატარდა საჯარო ლექცია „ინტელექტუალური საკუთრების შესახებ“, სადაც სეუ-ს ბიზნესისა და სამართლის სტუდენტებმა (30 მონაწილე), უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა მიიღეს ინფორმაცია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებისა და დარგში მოქმედი კანონმდებლობის შესახებ. შეხვედრას უძღვებოდნენ საქპატენტის სასწავლო ცენტრის ტუტორები.</p> <p>22 მარტს, ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის გამარჯვებულ გუნდს „GoGeoGo“ საქპატენტში უმასპინძლეს. შეხვედრის მიზანი იყო გუნდის წევრებს მიეღოთ ვრცელი ინფორმაცია გამოგონებაზე, პატენტის მოპოვებასა და საქპატენტში საპატენტო განაცხადის პროცედურების გავლის თაობაზე, ასევე, საზეიმო ვითარებაში მიეღოთ საქპატენტის მიერ მათთვის დაწესებული პრიზები. ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობა საქპატენტის, ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამიტომ, საქპატენტი ყოველთვის</p>

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>აქტიურადაა ჩართული მსგავს კონკურსებში. უწყება, ასევე კონკურსში მონაწილე ყველა გუნდისთვის ატარებს ტრენინგებს ინტელექტუალური საკუთრების მიმართულებით, რაც დამატებითი სტიმულია კონკურსანტებისთვის ახალი და საინტერესო პროექტების შესაქმნელად.</p> <p>26 აპრილს, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით საქპატენტში გაიმართა ღონისძიება, სადაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებს უმასპინძლეს და საზეიმო ვითარებაში „ინტელექტუალური საკუთრების შესახებ“ 20 საათიანი კურსის წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადასცეს. ღონისძიების ფარგლებში, სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ გასცნობოდნენ საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უწყების მუშაობის სპეციფიკას, შეხვედროდნენ დარგის სპეციალისტებს, პატენტრწმუნებულებს, საქპატენტის პარტნიორი უწყებების წარმომადგენლებს და საჯარო სექტორის ხელმძღვანელ პირებს.</p> <p>პროექტის EUGIPP ერთ-ერთი კომპონენტის „კრეატიულობა და ინტელექტუალური საკუთრება საქართველოს სკოლებში“ ფარგლებში, 27 აპრილს, ინტელექტუალური საკუთრების თემაზე შექმნილი ინფოგრაფიკების კონკურსი ჩატარდა. აქტივობა მიმართულია საბაზისო განათლების სისტემაში ინტელექტუალური საკუთრების სწავლების ინტეგრირების ხელშეწყობისკენ, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოსწავლეებში კრეატიულობისა და შემოქმედებითობის გაღვივება. ინფოგრაფიკების კონკურსიც შერჩეული ოთხი სკოლის მოსწავლეებისთვის ჩატარდა და მასში მონაწილეობა</p>

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>მიიღეს საჯარო სკოლების V-IX კლასების მოსწავლეებისგან შემდგარმა გუნდებმა.</p> <p>საქპატენტისა და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) თანამშრომლობით, EUIPO-ს აკადემიის ელექტრონული სწავლების პორტალზე, პირველად განთავსდა არაევროკავშირის წევრი ქვეყნის ენაზე შემუშავებული ქართულენოვანი კურსი - „ინტელექტუალური საკუთრება, როგორც ღირებული კომერციული აქტივი“, რომელიც პროექტის - EUGIPP ფარგლებში შეიქმნა და ხელმისაწვდომია ყველა მსურველისთვის. კურსის მიზანია ხელი შეუწყოს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მიზნობრივი აუდიტორიის ცნობიერების ამაღლებას, IP უფლებების რეგისტრაციისა და კომერციალიზაციის გზით არამატერიალური აქტივების ზრდას, რაც დადებით აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე.</p> <p>მაისში საქპატენტის ტუტორებმა ევროპისა და ქუთაისის უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალისთვის ინტელექტუალური საკუთრების შესახებ სპეციალური ტრენინგი ჩატარეს. სასწავლო აქტივობაში, მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტების სამართლის, ბიზნესის და მედიცინის ფაკულტეტის წარმომადგენლებმა. ტრენინგი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ინფორმირებულობისა და ინტელექტუალური საკუთრების დარგში ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა.</p> <p>მიმდინარე წლის ივნისში, შავი ზღვის რეგიონის გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ ბათუმში კონფერენცია გაიმართა, რომლის ფარგლებშიც საქპატენტის წარმომადგენელმა და „OriGin საქართველოს“ დირექტორმა დამსწრეებს გააცნეს საქართველოს გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემის თავისებურებები. შეხვედრას დაესწრო 100-</p>

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>მდე მონაწილე, მათ შორის გეოგრაფიული აღნიშვნების ადგილობრივი მწარმოებლები, რომელთა გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის შესახებ ცნობიერების ამაღლებასაც ისახავდა მიზანად აღნიშნული შეხვედა.</p> <p>მიმდინარე წლის 6 ივნისს, ბოლნისის ადგილობრივი მეწარმეებისთვის საქპატენტის ორგანიზებით, გეოგრაფიული აღნიშვნების და ადგილწარმოშობის დასახელებების შესახებ ტრენინგი ჩატარდა. ბოლნისში ჩატარებული ტრენინგის მიზანი იყო აგროცენტრის წარმომადგენლებისა და ადგილობრივი მწარმოებლების ცნობიერების ამაღლება გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის შესახებ.</p> <p>მიმდინარე წლის ივნისში საქპატენტის ორგანიზებით, ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის ფინალისტებისთვის ვებინარი „ინტელექტუალური საკუთრება – იდეიდან ინოვაციამდე“ ჩატარდა. მონაწილეებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია პატენტის მიღების პროცედურებსა და წინასწარი საპატენტო ძიების განაცხადის შევსების წესებზე. ვებინარს, რომელიც 2 საათს გრძელდებოდა, ათასწლეულის ინოვაციის 2022 წლის კონკურსის ფინალისტი გუნდის წევრები და მათი ხელმძღვანელები დაესწრნენ.</p> <p>მიმდინარე წლის ივლისის თვეში, ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის (ELSA) საერთაშორისო საზაფხულო სამართლის სკოლა თემაზე - „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“ - საქართველოში წელს მეშვიდედ ჩატარდა, რომელშიც ევროპის ათი ქვეყნის, წამყვანი უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის 14-მა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. ხუთდღიანი სალექციო კურსის განმავლობაში, მონაწილეებმა ექსპერტებისგან ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს ინტელექტუალური</p>

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>საკუთრების სამართლის სისტემასა და მისი დაცვის მექანიზმებზე.</p> <p>საქპატენტის სასწავლო ცენტრისა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) აკადემიის ორგანიზებითა და ჩინეთის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ადმინისტრაციის პარტნიორობით, სექტემბრის თვეში განახლებულ ფორმატში ჩატარდა ორკვირიანი პროფესიული განვითარების პროგრამა „გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“, რომელიც 17 ქვეყნის საჯარო უწყებებში დასაქმებულ 34 წარმომადგენელს დაეხმარა დარგის მიმართულებით პრაქტიკული ცოდნის გაღრმავებასა და პროფესიული უნარ - ჩვევების ჩამოყალიბებაში.</p> <p>EUGIPP პროექტის კომპონენტის „კრეატიულობა და ინტელექტუალური საკუთრება საქართველოს სკოლებში“ ფარგლებში პირველ ივლისს გაიმართა მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრა, რომელსაც 25 სკოლის დირექტორი ესწრებოდა. სასწავლო აქტივობის ფარგლებში, რომლის მიზანია კრეატიულობისა და ინტელექტუალური საკუთრების საკითხების ინტეგრირება საბაზისო განათლების სისტემაში, საქპატენტის სასწავლო ცენტრის ტრენინგები გადამზადებენ 100 მასწავლებელს.</p> <p>ნოემბერში საქპატენტის სასწავლო ცენტრში სკოლის მასწავლებლებისათვის განკუთვნილი მოკლევადიანი გადამზადების პროგრამა დასრულდა. პროგრამის ფარგლებში „ინტელექტუალური საკუთრების სწავლების მეთოდოლოგიის“ დისტანციური კურსი, მიმდინარე წელს, 28 სკოლის 108 მასწავლებელმა გაიარა. ღონისძიების ორგანიზატორები „საქპატენტი“ და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (EUIPO) იყვნენ.</p>

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>მეცნიერების პოპულარიზაციის, ინოვაციებისა და ტექნიკის მიმართ ინტერესის გაღვივების მიზნით ორგანიზებულ ყოველწლიურ კონკურსზე „ლეონარდო და ვინჩი“ საქპატენტის თავმჯდომარემ გამარჯვებული გუნდი დააჯილდოვა. კონკურსის დაარსების დღიდან, საქპატენტის წარმომადგენელი საკონკურსო კომისიის მუდმივმოქმედი წევრია, რომელიც ახალგაზრდა გამომგონებლების მიერ წარმოდგენილ პროექტებს პატენტუნარანობის კრიტერიუმებით აფასებს.</p> <p>უფროსკლასელებში ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების შექმნის წახალისების მიზნით, წელს მერვედ ჩატარდა „ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი“. კონკურსის მუდმივი და აქტიური მხარდამჭერია საქპატენტი, რომელიც ყოველ წელს აჯილდოებს ფინალისტ გუნდებს და უკვე მეორე წელია, მონაწილეობს საკონკურსო პროექტების შეფასებასა და გამარჯვებული გუნდების შერჩევაში.</p> <p>ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციისა (WIPO) და საქპატენტის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსის შემოდგომის სესია წარმატებით დაასრულა 68 მონაწილემ. სწავლების წარმატებით დასრულების შემდეგ, წარჩინებულ სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ უსასყიდლოდ გაიარონ WIPO-ს აკადემიის სპეციალიზებული სწავლების კურსები და პროფესიული ცოდნა მიიღონ როგორც სასაქონლო ნიშნების, დიზაინისა და გეოგრაფიული აღნიშვნების, ისე სავაჭრო უფლებების მიმართულებით.</p>
8.3.2. საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტებისა და ფლაერების გამოცემა	გამოცემული საინფორმაციო ხასიათის მასალების რაოდენობა	გამოცემული ბუკლეტები და ფლაერები	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული	-	საინფორმაციო ხასიათის დარგობრივი მასალა - 8080 ერთეული.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
			ცენტრი - „საქპატენტი“		
ამოცანა 8.4. კონტრაფაქციისა და პირატობის წინააღმდეგ ეფექტური ღონისძიებების განხორციელება					
8.4.1. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მფლობელთათვის და დაინტერესებული პირებისათვის სამუშაო შეხვედრებისა და სემინარების ჩატარება ცნობიერების ამაღლების მიზნით	მფლობელთათვის და დაინტერესებული პირებისათვის ჩატარებული სამუშაო შეხვედრების და ტრენინგების რაოდენობა	sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“		<p>17 მარტს ონლაინ კონტრაფაქციასთან დაკავშირებულ საკითხებზე ვირტუალური მრგვალი მაგიდა შედგა სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო ასოციაციის (INTA) ანტიკონტრაფაქციული კომიტეტის ინიციატივითა და ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის თანაორგანიზატორობით. შეხვედრას ესწრებოდნენ კერძო სექტორის წარმომადგენლები, მათ შორის სასაქონლო ნიშნის მფლობელები. საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა იმსჯელეს ონლაინ კონტრაფაქციის დაძლევის გზებზე და ონლაინ პლატფორმებისა და სასაქონლო ნიშნის მფლობელთა შორის ეფექტური თანამშრომლობის ასპექტებზე. სასაქონლო ნიშნების მფლობელთა უფლებების დაცვის ხელშეწყობისკენ მიმართული ტრადიციული ღონისძიება, სფეროს პროფესიონალებს შორის სასაქონლო ნიშნების თემაზე აქტუალური ინფორმაციის გაზიარებას უწყობს ხელს, რაც უზრუნველყოფს მომხმარებელთა დაცვის და კეთილსინდისიერი კომერციული საქმიანობის პრინციპების დანერგვას.</p> <p>ივლისში, პროექტის EUGIPP ფარგლებში, საქართველოში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა პროექტის კომპონენტის „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების შედარებითი ანალიზი“ ექსპერტი კენეტ რაიტი. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტი შეხვდა საქპატენტის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის, საბაჟო დეპარტამენტის საგამომიებო სამსახურის, საქართველოს გენერალური პროკურატურის და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წარმომადგენლებს. ვიზიტის მიზანი იყო</p>

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების სფეროში ჩართული სახელმწიფო უწყებების სამუშაო სპეციფიკის ადგილზე გაცნობა და ქართველი კოლეგებისთვის ევროპული გამოცდილების გაზიარება.</p> <p>21 ივლისს, თბილისში, ონლაინ მეკობრეობის წინააღმდეგ პოლიტიკის ცვლილებების შემუშავების პროცესში, საკანონმდებლო სიახლეების დანერგვისა და აღსრულების ხელშეწყობის მიზნით საჯარო-კერძო დიალოგის მორიგი სერია გაიმართა. USAID-ისა და საქპატენტის ორგანიზებულ შეხვედრაზე მხარეებმა ერთობლივად განიხილეს კრეატიული ინდუსტრიების სექტორში არსებული გამოწვევები და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების ახალი ე.წ. „შეტყობინება-აღების“ (Notice-and-Takedown) მექანიზმის პროექტი.</p> <p>2022 წლის 25-26 ივლისს, ქ. ბათუმში საქპატენტისა CLDP-ის ორგანიზებით, გაიმართა რიგით მე-6 საერთაშორისო კონფერენცია - „საქართველო კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ“. ორდღიან კონფერენციაზე მონაწილეობა მიიღეს საქპატენტის ადგილობრივმა და საერთაშორისო პარტნიორი უწყებების წარმომადგენლებმა, წარმომადგენლებმა ცენტრალური ევროპიდან, კავკასიის რეგიონიდან, შავი ზღვის აუზისა და შუა აზიის ქვეყნებიდან.</p> <p>27 ივლისს ჩატარდა რეგიონული სამუშაო შეხვედრა, რომლის მიზანი იყო კონტრაფაქციასთან ბრძოლის მიმართულებით კოორდინირებული მუშაობის დაგეგმა. მონაწილეებმა ერთობლივად განიხილეს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვისა და აღსრულების მიმართულებით მდგარი გამოწვევები, ინტელექტუალური საკუთრების უწყებებისა და საბაჟო დეპარტამენტების პერსპექტივიდან, რეგიონულ ჭრილში.</p>

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებების კვირეულის ფარგლებში 28 ივლისს გაიმართა ტრანს - კასპიის ინტელექტუალური საკუთრების ფორუმი. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის გლობალური და რეგიონული გამოწვევები და მიდწვევები, ასევე, მიმოიხილეს კონტრაფაქციასთან ბრძოლის სასაზღვრო ღონისძიებები.</p> <p>ონლაინ მეკობრეობასთან და მისგან გამოწვეულ საფრთხეებთან არსებულ გამოწვევებზე მსჯელობის მიზნით, ყოველწლიურ ფორუმზე „საქართველოს ინტერნეტ-მმართველობა“, შეიკრიბნენ საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. 4 დღიანი ფორუმის ფარგლებში გამართულ პანელზე „სავაჭრო უფლებები ონლაინ“ მონაწილეობდნენ საქპატენტის, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ეკონომიკური მმართველობისა და ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამების წარმომადგენლები.</p>
8.4.2 ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული საქმეების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება	საბჭოს მიერ ჩატარებული სხდომების რაოდენობა	მომზადებული საბჭოს სხდომის ოქმი; sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების უწყებათაშორისი საკოორ	საანგარიშო პერიოდში უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსთვის არ მიუშარტავთ უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრით, შესაბამისად საბჭოს სხდომა არ ჩატარებულა.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
				დინაციო სი საბჭო	
8.4.3 კონტრაფაქციული და პირატული პროდუქციის გამოვლენა, მათ შორის საზღვარზე და დამრღვევი ქმედებების აღკვეთა	გამოვლენილი და გამოძიებული საქმეების რაოდენობა	წლიური ანგარიში	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სსიპ-შემოსავლები ს სამსახური;	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	2022 წლის განმავლობაში საბაჟო დეპარტამენტის მიერ სავარაუდოდ კონტრაფაქციული საქონლის შეჩერების შესახებ გამოიკა 370 ბრძანება. აქედან, 288 შემთხვევაში უფლების მფლობელსა და საქონლის მფლობელს შორის შედგა შეთანხმება საქონლის განადგურების თაობაზე. 19 შემთხვევაში უფლების მფლობელმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში, ხოლო დანარჩენ (63) შემთხვევაში საქონელი გაშვებულ იქნა, რადგან არ/ვერ დადგინდა საქონლის კონტრაფაქციულობა.
მიზანი 9.	კონკურენციისა და ვაჭრობაში დაცვითი ზომების სფეროების განვითარება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით				
ამოცანა 9.1.	ცნობიერების ამაღლება საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებში კონკურენციისა და ვაჭრობაში დაცვითი ზომების პოლიტიკის მიმართულებით				
9.1.1. კონკურენციის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით სემინარების და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის	ჩატარებული სემინარებისა და საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა	სააგენტოს წლიური ანგარიში, www.gnca.gov.ge	სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო		2022 წელს სააგენტოს წარმომადგენლების ჩართულობით კონკურენციის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით 8 (რვა) ღონისძიება გაიმართა. ერთი საჯარო დისკუსია ეხებოდა საქართველოს სავაჭრო პოლიტიკასა და კონკურენციის და განკუთვნილი იყო ფართო აუდიტორიისთვის, ხოლო, მეორე ჩატარდა სტუნდენტებისთვის, საჯარო ლექციის ფორმატში და განხილულ იქნა კონკურენციის პოლიტიკის აქტუალური საკითხები. ასევე, კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის, სააგენტოს ინიციატივითა და ევროკავშირის დახმარების პროექტის “AA Facility”-ს მხარდაჭერით, სამი შეხვედრა გაიმართა ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში. შეხვედრებზე განხილული იყო კონკურენციის სამართლისა და ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენების აქტუალური საკითხები. ევროკავშირის დაფინანსებით, სააგენტოში დაიწყო საჯარო სამსახურების დამძობილების (Twinning) პროექტი “საქართველოს კონკურენციის სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება“. პროექტის გახსნის

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>ლონისძიებას ესწრებოდა საჯარო და კერძო სექტორის 60-მდე წარმომადგენელი.</p> <p>2022 წლის 16-17 ნოემბერს სააგენტოსა და მარეგულირებელი უწყებების ორგანიზებით თბილისში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „კონკურენცია და მომხმარებლის უფლებები“, სადაც განხილული იყო კონკურენციის პოლიტიკის აქტუალური საკითხები. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფოს, ბიზნესის, არასამთავრობო და აკადემიური სექტორის წარმომადგენლები, დარგის სპეციალისტები და 20 ქვეყნის კონკურენციის უწყებების წარმომადგენლები.</p> <p>2022 წლის დეკემბერში ჟურნალისტებისთვის ჩატარდა წლის შემაჯამებელი შეხვედრა, სადაც დამსწრე საზოგადოებას მიეწოდა დეტალური ინფორმაცია სააგენტოს საქმიანობის თაობაზე, ყველა მიმართულებით.</p>
9.1.2. ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით სემინარების და შეხვედრების ორგანიზება კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის	ჩატარებული სემინარების და შეხვედრების რაოდენობა, მონაწილეთა რაოდენობა	სააგენტოს წლიური ანგარიში, www.competition.ge	სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო		2022 წელს სააგენტოს წარმომადგენლების ჩართულობით გაიმართა 5 (ხუთი) ღონისძიება. ერთი ღონისძიება ეხებოდა საქართველოს სავაჭრო პოლიტიკასა და კონკურენციას, მათ შორის, განხილული იყო საქართველოში ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენების საკითხები. მეორე შეხვედრა ამავე საკითხზე გაიმართა ჟურნალისტებისათვის. დანარჩენი სამი ღონისძიება ჩატარდა რეგიონებში, კერძოდ ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში.
9.1.3. ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით საინფორმაციო მასალების გავრცელება	გავრცელებული საინფორმაციო მასალების რაოდენობა	სააგენტოს წლიური ანგარიში, www.competition.ge	სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო		2022 წელს საქართველოს სამ რეგიონში, ბიზნესის წარმომადგენლებისთვის გამართულ შეხვედრებზე მოხდა „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიებების შემოღების შესახებ“ საქართველოს კანონის ძირითად პრინციპებზე მომზადებული ბროშურის გავრცელება.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
ამოცანა 9.2.					
თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება					
9.2.1. კონკურენციის პოლიტიკის აქტუალურ საკითხებთან (მათ შორის, საკანონმდებლო ცვლილებებთან) დაკავშირებით ტრენინგების/სემინარების/სასწავლო ვიზიტების ორგანიზება	ჩატარებული ტრენინგების/სემინარების/სასწავლო ვიზიტების რაოდენობა	სააგენტოს წლიური ანგარიში, www.competition.ge	სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო		2022 წელს სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს კონკურენციის პოლიტიკის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართულ 18 (თვრამეტ) ღონისძიებაში. კერძოდ, სააგენტოს თანამშრომლები მონაწილეობდნენ ICN-ის, OECD-ის, OECD-GVH RCC-ისა, ABA-ს, UNCTAD-ის და OECD-GVH RCC-ისა და ხორვატიის კონკურენციის სააგენტოს, პოლონეთის კონკურენციის უწყების (UOKIK) და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „TWINNING“-ის პროექტის „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება“ ორგანიზებულ სემინარებში, შეხვედრებში, სასწავლო ვიზიტებსა და კონფერენციებში, რომლებიც ეხებოდა კონკურენციის პოლიტიკის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებს.
9.2.2. ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება	ჩატარებული ტრენინგების/სემინარების/სასწავლო ვიზიტების რაოდენობა	სააგენტოს წლიური ანგარიში, www.competition.ge	სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო		2022 წელს სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით გამართულ 2 (ორ) ონლაინ სემინარში: საერთაშორისო სავაჭრო დავების გადაწყვეტა და უახლესი ტექნოლოგიების როლი საერთაშორისო ვაჭრობაში საბაჟო პერსპექტივიდან.
მიზანი 10					
მდგრადი განვითარების ხელშეწყობა					
ამოცანა 10.1.					
ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა და კონსერვაციის ხელშეწყობა					
10.1.1. ევროკავშირთან და ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიასთან (GFCM) თანამშრომლობის გაფართოება, თევზჭერის ელექტრონული მონიტორინგის სისტემის განვითარებისა და არალეგალურ,	სარეწაო თევზჭერი გემების ელექტრონული მონიტორინგის სისტემის შესაბამისი ტექნიკური მოწყობილობებით აღჭურვასთან დაკავშირებით იდენტიფიცირებული განსახორციელებელი ქმედებები.	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; dcfta.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო სსდ - გარემოს	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ევროკომისიის საზღვაო საქმეთა და მეთევზეობის გენერალურ დირექტორატთან კონსულტაციით შეიმუშავა კანონპროექტი "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ". კანონპროექტი აწესებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობასა და შესაბამის სანქციებს უცხო ქვეყნის ტერიტორიულ ზღვასა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში, ასევე ღია ზღვაში საქართველოს

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
არადეკლარირებულ და დაურეგულირებელ თევზჭერასთან (IUU) ბრძოლის მიზნით	არალეგალურ, არადეკლარირებულ და დაურეგულირებელ (IUU) თევზჭერასთან ბრძოლისათვის იდენტიფიცირებული საჭიროებები და დაგეგმილი სამომავლო ქმედებები.			დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი;	დროშის ქვეშ მცურავი თევზსაჭერი/თევზჭერასთან დაკავშირებული გემების მიერ არალეგალური, არადეკლარირებული და დაურეგულირებელი თევზჭერის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევისათვის, აგრეთვე არალეგალური, არადეკლარირებული და დაურეგულირებელი (IUU) თევზჭერისგან მიღებული პროდუქტების იმპორტის, ექსპორტის ან რეექსპორტის ან/და ასეთი პროდუქტებით საერთაშორისო ვაჭრობასთვის. საქართველოს კანონის პროექტი წარდგენილია და განიხილება საქართველოს პარლამენტის მიერ.
10.1.2. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და FAO/GFCM-ს შორის თანამშრომლობის ფარგლებში, პრიორიტეტულ სახეობებზე კვლევის ჩატარება შავი ზღვის არეალზე -კამბალასადა რაპანას ჯიშებზე	შეხვედრებისა და ტრენინგების რაოდენობა და ასევე BlackSea4Fish პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევების რაოდენობა თევზის შესაბამის ჯიშებზე.	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; dcfta.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი;	მიმდინარე წელს ბულგარეთში გაიმართა ექსპერტთა შეხვედრა, რომელზეც განხილული იყო რაპანას სახეობაზე სამემოდგომო კვლევის ჩატარების მიზნით ტექნიკური აღჭურვილობის პარამეტრების დადგენისთვის გასატარებელი ღონისძიებები. BlackSea4Fish-ის პროექტის ფარგლებში, კოორდინაციის უზრუნველსაყოფად, ეროვნულ დონეზე განისაზღვრენ პასუხისმგებელი პირები. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, კამბალაზე სანაპირო თევზჭერისას ზღვის ძუძუმწოვრების თანჭერილის შემთხვევების აღრიცხვასთან დაკავშირებით, GFCM-ის კოორდინატორი შეხვდა სამინისტროს ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირს, გარემოს ეროვნული სააგენტოს აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტს და მცირე სანაპირო მეთევზეებს.
10.1.3. ეკონომიკური ღირებულების მქონე მცენარეთა შერჩეული სახეობების რესურსის შეფასება	შეფასებულია სულ მცირე 3 სახეობის რესურსი	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; dcfta.gov.ge;	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		მიმდინარე წელს შეფასდა 3 შერჩეული სახეობა (ასკილი, კუნელი, ზღმარტლი). ამ ეტაპზე მზადდება აღნიშნული სახეობების რესურსის კვლევის ანგარიში, რომელიც 2023 წლის დასაწყისში იქნება მზად.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
10.1.4. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების ახალ ტყის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანა	ახალი ტყის კოდექსის შესაბამისად შემუშავებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; dcfta.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		<p>საქართველოს მთავრობამ 2022 წლის 2 მაისს დაამტკიცა დადგენილება N231 "ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე".</p> <p>მიმდინარე წლის 2 აგვისტოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა „ტყის შემქმნელ მერქნიან მცენარეთა სახეობების ნუსხა“ 2022 წლის განმავლობაში მიდინარეობდა აქტიური სამუშაოები: „ტყის სარეპროდუქციო მასალების იმპორტის, ექსპორტისა და წარმოების წესის შესახებ“, „საქართველოში „მეტყევის პროფესიული დღის“ გამოცხადებისა და ტყის სფეროში დასაქმებულ პირთა წახალისების წესის შესახებ“, „ტყის სტატუსის განმსაზღვრელი კომისიის შესახებ“, „სახელმწიფო ტყეში დასაქმებულ პირთა სამსახურებრივი ტანსაცმლის ფორმის დადგენის შესახებ“ დებულებებზე. აღნიშნული აქტების სამუშაო ვერსიები განხილვის ბოლო ეტაპზეა და უახლოეს მომავალში წარედგინება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს.</p>
10.1.5. ტყისა და მიწათსარგებლობის ინფორმაციისა და გადაწყვეტილებების მხარდამჭერი სისტემის გაუმჯობესება	შემუშავებული ტყის საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემის ძირითადი მოდულები	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; dcfta.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		<p>2022 წელს მომზადდა ტყის სარგებლობისა და ტყის მოვლა-აღდგენის პროგრამული მოდულების შექმნისთვის ტექნიკური დავალების სამუშაო ვერსიები, უახლოეს მომავალში ჩატარდება ბაზრის კვლევა და დაკონტრაქტდება შესაბამისი კომპანია.</p> <p>ასევე შემუშავდა ტყის MRV სისტემის მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზე შესაძლებელი გახდება ტყეებში დაგროვებული ნახშირბადის მარაგების გამოთვლა და შესაბამისი პოლიტიკის დაგეგმვა. მიმდინარეობს აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისი დოკუმენტის განხილვა შესაბამის დარგობრივ დეპარტამენტებთან.</p>
10.1.6. ტყის მდგრადი მართვის შედეგად წარმოებული ხე-ტყის ნაწარმით ვაჭრობისთვის ხელის შეწყობა.	ქვეყანაში მოწყობილი 25 საქმიანი ეზო	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის		ქვეყნის მასშტაბით ამ დროისთვის მოწყობილია 31 საქმიანი ეზო.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
		წლიური ანგარიში; dcfta.gov.ge	მეურნეობის სამინისტრო		
ამოცანა 10.2.	კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ვალდებულებების/ხელშეკრულებების შესრულება				
10.2.1. ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) შესრულების სამოქმედო გეგმის (2021-2023) განხორციელების წლიური ანგარიშის მომზადება	კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის (2021-2023) 2021 წლის ანგარიში წარდგენილია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; dcfta.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) შესრულების სამოქმედო გეგმის (2021-2023) განხორციელების 2021 წლის ანგარიში მომზადებულია და განთავსებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე.
10.2.2. გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი (UNFCCC) საქართველოს მე-5 ეროვნული შეტყობინებისა (FNC) და პირველი ორწლიური გამჭვირვალობის ანგარიშის (BTR) მომზადების დაწყება	ჩამოყალიბებული სამუშაო ჯგუფი მე-5 ეროვნული შეტყობინების მოსამზადებლად; შექმნილი სამუშაო ჯგუფი ეროვნული ინვეტარიზაციისთვის.	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; dcfta.gov.ge	საქართველოს გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი (UNFCCC) საქართველოს მე-5 ეროვნული შეტყობინებისა (FNC) და პირველი ორწლიური გამჭვირვალობის ანგარიშის (BTR) მომზადება დაწყებულია. ჩატარდა პროექტის ინიცირების (Kick-off) შეხვედრა, რომელზეც დაინტერესებულ მხარეებს წარუდგინეს პროექტის მიზნები. დაქირავებულია პროექტის მენეჯერი. ჩამოყალიბებულია სამუშაო ჯგუფი მე-5 ეროვნული შეტყობინების მოსამზადებლად; შერჩეულია სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უნდა ჩაატაროს ეროვნული ინვეტარიზაცია.
ამოცანა 10.3.	შრომის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად				
10.3.1. დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება შრომითი ნორმების შესახებ	საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრებისა და გაწეული კონსულტაციების რაოდენობა; თემატურად მომზადებული მასალების რაოდენობა;	შრომის ინსპექციის წლიური ანგარიში - www.moh.gov.ge	სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა	შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ ან უშუალოდ ჩართულობით განხორციელდა 53 საინფორმაციო/სამუშაო ტიპის შეხვედრა, რომელსაც 2000-მდე პირი დაესწრო. უშუალოდ დამსაქმებულბთან და დასაქმებულბთან განხორციელებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა შეადგენდა 35-ს რომელსაც 1700-მდე პირი ესწრებოდა.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
				<p>შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>დაიბეჭდა და გავრცელდა დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლების მიზნით მომზადებული 2 სახელმძღვანელო:</p> <ul style="list-style-type: none"> - შრომის უსაფრთხოება სამშენებლო სექტორში; - ვაკანსიის გამოცხადებისას დისკრიმინაციის პრევენციის სახელმძღვანელო პრინციპები (სახელმძღვანელო შემუშავდა ქართულ ენაზე და ითარგმნა ინგლისურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე). <p>გარდა ამისა, კერძო მეწარმეობის საერთაშორისო ცენტრის (CIPE) ცნობიერების ამაღლების კამპანიის - „უსაფრთხო ბიზნესი თქვენი არჩევანია“ ფარგლებში შრომის ინსპექციის სამსახურის უშუალოდ ჩართულობით მომზადდა საინფორმაციო ვიდეორგოლი ადმინისტრაციული სახდელის სახეების შესახებ, რომელიც გავრცელდა ტელევიზიებისა და სოციალური ქსელის მეშვეობით.</p> <p>შემუშავდა სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნები, რომელიც 2022 წლის 01 ივლისს დამტკიცდა საქართველოს მთავრობის N341 დადგენილების სახით. ამავე ფორმატში შემუშავდა და 2022 წლის 16 სექტემბერს მთავრობის №457 დადგენილებით დამტკიცდა „ტექნიკური რეგლამენტის – სამუშაო სივრცეში უსაფრთხოების ან/და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ნიშნების განთავსების მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“. აღნიშნული საკანონმდებლო სიახლეების შესახებ სამსახურის წარმომადგენლების მიერ ინტენსიურად მიმდინარეობს ინფორმაციის ფართო საზოგადოებაში გავრცელებისთვის შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის, სატელევიზიო გადაცემებსა თუ სოციალურ ქსელში ინფორმაციის გავრცელება/განთავსება, მათ შორის, სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი საინფორმაციო ელექტრონული ბანერები, რომელიც განთავსდა სოციალურ ქსელსა და შრომის ინსპექციის ვებგვერდზე.</p>

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					გარდა ამისა, შრომით ნორმებზე, გარდა ინსპექტირების ფარგლებში შემოწმებული ობიექტებისა, 650 ობიექტის წარმომადგენელსა და მასში დასაქმებულ პირებს გაეწია კონსულტაცია. ასევე, შეიქმნა შრომის ინსპექციის სამსახურის ვებგვერდი და საკონსულტაციო ცენტრი. შრომით ნორმებთან დაკავშირებით. თემატურად, ზოგად თუ სექტორულ დონეზე ჯამში შემუშავებული 31 სასწავლო/საინფორმაციო ვიდეორგოლი განთავსდა შრომის ინსპექციის Youtube არხზე.
10.3.2. დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება ბავშვთა შრომის შესახებ	ბავშვთა შრომის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების, დაბეჭდილი და გავრცელებული ბუკლეტების რაოდენობა	www.moh.gov.ge	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური	საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ინსპექტირებების ფარგლებში მუდმივად ხორციელდება ინფორმაციის გავრცელება ბავშვთა შრომის საკითხებზე: <ul style="list-style-type: none"> - „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად განხორციელდა 2510 (პირველადი და შემდგომი, დარღვევების აღმოფხვრამდე) ინსპექტირება 1147 ობიექტზე. - საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ განსაზღვრული ნორმების აღსრულებაზე ზედამხედველობის მიზნით განხორციელდა 1019 ინსპექტირება (პირველადი და შემდგომი, დარღვევების აღმოფხვრამდე) 565 ობიექტზე. - იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის N112 დადგენილების ფარგლებში ახორციელებს ზედამხედველობას, რომლის შედეგად საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 139 ინსპექტირება 221 ობიექტზე, რომელთაგან 211 იყო გეგმური, ხოლო, 10 არაგეგმური.
10.3.3. სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება	სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური დაკომპლექტებულია	შრომის ინსპექციის	სსიპ - შრომის	საქართველოს ოკუპირე	2022 წლის საანგარიშო პერიოდში სამსახურში დაკომპლექტებულია 132 პოზიცია. სამსახური

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
	<p>შესაბამისი ადამიანური რესურსით;</p> <p>შრომის ინსპექტორთა შესაძლებლობების ზრდის მიზნით გატარებული ღონისძიებების რაოდენობა</p>	<p>წლიური ანგარიში - www.moh.gov.ge</p>	<p>ინსპექციის სამსახური</p>	<p>ბული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>ინტენსიურად განაგრძობს მუშაობას ვაკანტური პოზიციების დაკომპლექტების მიმართულებით.</p> <p>შრომის ინსპექტორთა შესაძლებლობების ზრდის მიზნით შემუშავებული „იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის სახელმძღვანელო“-ს ბეჭდვა განხორციელდა, რომელიც გადაეცათ შრომის ინსპექტორებს. გარდა ამისა, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით I კვარტალში შემუშავდა ინსპექტორთა გადამზადების მოდული.</p> <p>ევროპის სოციალური ქარტიის ანგარიშგების პროცედურის ფარგლებში ეროვნული ანგარიშგების მომზადების მიზნით განხორციელდა შრომის ინსპექტორთა ერთი თემატური ტრენინგი.</p> <p>შრომით უფლებებზე ზედამხედველობის მიმართულებით დასაქმებულ პირთა, მათ შორის შრომის ინსპექტორთა უნარების გაძლიერების მიზნით ევროპის საბჭოს პროექტის "სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის გაძლიერება" მხარდაჭერით წარმატებით (რეგიონში უმაღლესი, 96%-იანი მაჩვენებლით) გაიარეს ევროპის საბჭოს იურიდიული სფეროს წარმომადგენელთა ადამიანის უფლებათა სფეროში სწავლების (HELP) პროგრამის ფარგლებში შემუშავებული სასწავლო კურსი, რომელიც მოიცავდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გარდა სხვა დოკუმენტებს, როგორცაა ევროპის სოციალურ ქარტია (ESC), ევროსაბჭოს კონვენციები საკვანძო სფეროებში, მაგალითად, მონაცემთა დაცვა, შრომითი უფლებები. ამის გარდა, პროექტის მხარდაჭერით კურსში ჩართულ იქნა ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტია, ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) იურისპრუდენცია.</p>

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					<p>სამსახურის ყველა თანამშრომლისთვის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით განხორციელდა ტრენინგი „ეფექტიანი კომუნიკაცია“, სადაც თანამშრომლები გაეცნენ ეფექტიანი მომსახურების განხორციელებისთვის აუცილებელ ინფრომაციას, მომსახურებისა და კომუნიკაციის სტანდარტებსა და საკვანძო პრინციპებს, რომლის შედეგადაც სამსახურის თანამშრომლებმა განავითარეს ეფექტიანი კომუნიკაციისა და მომსახურებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.</p> <p>შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით გადამზადდნენ სექტორულ დონეზე მომუშავე ინსპექტორები სამთომოპოვებით სექტორში შრომის უსაფრთხოების საკითხებზე.</p> <p>გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ შრომის ინსპექციის სამსახურის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით ჩატარდა ტრენინგი 16 სხვადასხვა თემაზე.</p>
<p>10.3.4. სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ფუნქციონირება კანონმდებლობით განსაზღვრული, გაფართოებული მანდატის შესაბამისად</p>	<p>წლის განმავლობაში შემოწმებული ობიექტების, განხორციელებული ინსპექტირებებისა და გაცემული რეკომენდაციების რაოდენობა;</p> <p>შესრულებული რეკომენდაციების რაოდენობა/მაჩვენებელი</p>	<p>შრომის ინსპექციის წლიური ანგარიში - www.moh.gov.ge</p>	<p>სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური</p>	<p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>2022 წლის საანგარიშო პერიოდში:</p> <ul style="list-style-type: none"> - „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად განხორციელდა 2510 (პირველადი და შემდგომი, დარღვევების აღმოფხვრამდე) ინსპექტირება 1147 ობიექტზე. - განხორციელებული ინსპექტირებების შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად სამსახურის მიერ ყველა ობიექტზე გაცემულ იქნა 8728 მითითება. აღსანიშნავია, რომ გაცემული მითითებები სრულად გაითვალისწინა 592-მა ობიექტმა. განხორციელებული ინსპექტირებები კი შეეხო 108 000დასაქმებულ პირს. - საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ განსაზღვრული ნორმების აღსრულებაზე ზედამხედველობის მიზნით განხორციელდა 1019 ინსპექტირება (პირველადი და შემდგომი, დარღვევების აღმოფხვრამდე) 950 ობიექტზე. - განხორციელებული ინსპექტირებების შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					სამსახურის მიერ ყველა ობიექტზე გაცემულ იქნა 3369 მითითება. აღსანიშნავია, რომ გაცემული მითითებები სრულად ან ნაწილობრივ გაითვალისწინა 297-მა ობიექტმა. განხორციელებული ინსპექტირებები კი შეეხო 68 000-მდე დასაქმებულ პირს.
10.3.5. სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის რეგულარული შეხვედრების უზრუნველყოფა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკითხების განხილვა	სამმხრივი კომისიის და კომისიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრების რაოდენობა	სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომის ოქმები	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის წევრი უწყებები /ორგანიზაციები	2022 წლის მესამე კვარტალში ჩატარდა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის ორი შეხვედრა. სამუშაო ჯგუფზე განხილულ იქნა სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი და საქართველოს კანონის „შრომითი მიგრაციის შესახებ“ ცვლილების პროექტი. 2022 წლის დეკემბერში ჩატარდა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომა. კომისიის სხდომა. კომისიის წევრებმა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) „შრომის ინსპექციის შესახებ“ N81 კონვენციის და „იძულებითი შრომის შესახებ“ N29 კონვენციის დამატებითი ოქმის რატიფიცირების შესაძლებლობის შესახებ იმსჯელეს. მხარეებმა ეროვნული მინიმალური ხელფასის რეფორმაზე ისაუბრეს და ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულების ანაზღაურების საკითხი განიხილეს. კომისიის წევრებმა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) „შრომის ინსპექციის შესახებ“ N81 კონვენციის და „იძულებითი შრომის შესახებ“ N29 კონვენციის დამატებითი ოქმის რატიფიცირების შესაძლებლობის შესახებ იმსჯელეს. კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი როგორც კონვენციის, ისე ოქმის რატიფიცირების საკითხს.
მიზანი 11.	DCFTA-ს განხორციელების ეფექტიანი კოორდინაციის და კომუნიკაციის უზრუნველყოფა				
ამოცანა 11.1.	DCFTA-ის სარგებელის, შესაძლებლობებისა და უპირატესობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება				

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
11.1.1. DCFTA-ს შესახებ ვებ-ვერდის ეფექტიანი ფუნქციონირება	<p>ვებგვერდის ვიზიტორთა რაოდენობა;</p> <p>გამოქვეყნებული საკანონმდებლო აქტების პროექტების რაოდენობა</p>	Dcfta.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		2022 წლის მონაცემებით dcfta.gov.ge ვებგვერდს ეწვია 9300 ახალი ვიზიტორი. საქართველოს გარდა, ვებგვერდს სტუმრობენ აშშ-დან, ჩინეთიდან, რუსეთიდან, გერმანიიდან, პოლონეთიდან, გაერთიანებული სამეფოდან, თურქეთიდან და სხვ. სულ უცხო ქვეყნებიდან ვიზიტორთა წილი 20%. ვებგვერდზე განახლდა სტატისტიკა და დაახლოებული კანონმდებლობის გვერდები. გასაჯაროვდა სხვადასხვა იურიდიული დოკუმენტები და DCFTA-ის განხორციელებასთან დაკავშირებული გეგმა და ანგარიშები.
11.1.2. DCFTA-ის განხორციელების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის წარმომადგენლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობისა და ინფორმირებულობის მიზნით DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრების ორგანიზება	მინიმუმ 1 შეხვედრა წელიწადში	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; Dcfta.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		2022 წლის 14 ნოემბერს გაიმართა საქართველოს სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოსა (TAG) და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საკონსულტაციო ჯგუფის გაერთიანებული ონლაინ შეხვედრა. შეხვედრაზე განხილული იქნა DCFTA-ს განხორციელების პროგრესი და მიღწევები.
11.1.3 DCFTA-ს შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით თემატური შეხვედრები ბიზნესის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი ხელისუფლების, აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან	ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; Dcfta.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		წლის განმავლობაში, სხვადასხვა DCFTA-ს განხორციელებაში ჩართული, უწყებების მიერ ჩატარდა სექტორული შეხვედრები კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, მიმდინარე რეფორმის გაცნობის მიზნით.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
ამოცანა 11.2.	საკოორდინაციო მექანიზმის ფუნქციონირების ხელშეწყობა ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი განხორციელებისთვის				
11.2.1. DCFTA-ის განხორციელების უწყებათაშორისი ქვეკომისიის შეხვედრების ორგანიზება	მინიმუმ 1 შეხვედრა	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; Dcfta.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		2022 წლის 24 ნოემბერს, ონლაინ ფორმატში გაიმართა DCFTA-ს განხორციელების საკოორდინაციო უწყებათაშორისი ქვეკომისიის მორიგი შეხვედრა, სადაც განხილული იქნა DCFTA-ს განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მიმდინარეობა, გამოკვეთილი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები; DCFTA-ის განხორციელების 2023 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების მდგომარეობა.
11.2.2. DCFTA-ის განხორციელების საშუალოვადიანი (2021-2023 წწ.) გეგმის განხორციელების მიზნით ყოველწლიური გეგმების შემუშავება	მიღებულია DCFTA-ის განხორციელების 2023 წლის გეგმა	Dcfta.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2023 წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 27 იანვრის ბრძანებით. გეგმა გასაჯაროვდა dcfta.gov.ge ვებგვერდზე.
11.2.3 DCFTA-ს განხორციელების ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშების შემუშავება და გამოქვეყნება	მომზადებული DCFTA-ს განხორციელების ანგარიშები	Dcfta.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		DCFTA-ის 2021 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების წლიური და 2022 წლის გეგმის მესამე კვარტლის ანგარიშები შემუშავდა და გამოქვეყნდა dcfta.gov.ge ვებგვერდზე ქართულ და ინგლისურ ენებზე.